



მდგრადი განვითარების მიზნების ღოკადიზების საბაზისო კვლევა:

ლოკალიზების პერსპექტივები
საქართველოში



თბილისი, 2022



ანგარიში მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, GIZ-ის (*Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit*) მხაიდაჭეხითა და გეხმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, პროგრამის - „კახვი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხეთ კავკასიაში“ (GGLD) - ფაიგდებში.

GIZ ახ იღებს პასუხისმგებლობას კვლევის შინააღსოვნივი მხაიის სისწოხესა და ავტოოხთა მიეხ გამოთქმულ მოსაზრებებზე.

**მდგრადი განვითარების მიზნების
დოკუმენტის საბაზისო კვლევა:
ლოკალიზების პერსპექტივები საქართველოში**

თბილისი
2022

შინაარსი

	შენაწილი	5
	ენოვანი დოკუმენტი	8
	ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობისა და პოლიტიკის მიმოხილვა	13
	დაცემის დინამიკის სტრატეგია 2020-2025	17
	სოც დოკუმენტის მანაჯერული ნაწილი და 2030 წლის დღის წესრიგი	21
	დანიშნულებად მხარეთა მიმოხილვა და ჩართულობის გეგმა	30
	მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების შეფასება	35
	მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების დონის მიმოხილვა მნიშვნე- ლოვანობის	40
	ძირითადი გამოწვევები და საჭიროებები	45
	ზოგადი რეკომენდაციები	49
	რეკომენდაციები მნიშვნელოვანობისთვის	53
	დანიშნულები	59
	დანიშნულება I. შესრულებული/საპროექტი მნიშვნელოვანობის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პრეზენტაცია	60
	დანიშნულება II. საპროექტი მნიშვნელოვანობის შესახებ მდგრადი განვითარების მიმოხილვა	68
	დანიშნულება III. მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების დონის შეფასება	71






შენახალი



2015 წლის სექტემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ A/RES/70/1 რეზოლუციით მიიღო „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“¹ დოკუმენტი იმავე წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში. რეზოლუციაში გაიწერა მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDG) და 169 ამოცანა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და თანაბრად ეხება ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებს.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, ვინც შეუერთდა აღნიშნულ რეზოლუციას და დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის და განხორციელების პროცესი. მიზნების დანერგვისა და მათი შესრულების მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, შეიქმნა მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭო (შემდგომში - საბჭო) და თემატური სამუშაო ჯგუფები (შემდგომში-სამუშაო ჯგუფები), რომლებიც დახმარებას უწევენ საბჭოს. ამასთანავე, შემუშავდა 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნული დოკუმენტი – SDG-ების მატრიცა, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა ეროვნული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები.

მდგრადი განვითარების მიზნების უნივერსალური და ინკლუზიური ბუნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მათი განხორციელების პროცესში ჩართული იყოს როგორც ცენტრალური, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლება, რადგან მიზნების სიკეთების მიტანა მოსახლეობამდე ყველაზე ეფექტურად და მყისიერად სწორედ ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია. სწორედ ამ მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (GGLD) ფარგლებში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) ახორციელებს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივი არქიტექტურის ყოვლისმომცველ ანალიზს. კერძოდ, ანგარიში ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

-  ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ეროვნულ მექანიზმებში;
-  ძირითადი მუნიციპალური სტრუქტურების იდენტიფიცირება ადგილობრივ დონეზე SDG-ის დანერგვისა და განხორციელების მიზნით;
-  კავშირების დადგენა მუნიციპალიტეტების პროგრამულ ბიუჯეტსა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისთვის საჭირო ბიუჯეტს შორის.

2019 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული SDG-ების განხორციელებისათვის მზადყოფნის აუდიტის² შედეგად დადგინდა, რომ SDG-ების მატრიცა არ იყო

¹ გაეროს რეზოლუცია - Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development

² სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში

ინტეგრირებული მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტებში, ვინაიდან მუნიციპალიტეტები არ იყვნენ ჩართული SDG-ების განხორციელების პროცესში. ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესების შეფასების მიზნით, IDFI-მ შეარჩია 14 მუნიციპალიტეტი³ და მათ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილებით მიმართა. წერილი მოიცავდა შემდეგი სახის კითხვებს: შექმნილია თუ არა მდგრადი განვითარების საბჭო მერიის ან საკრებულოს ფარგლებში? იღებენ თუ არა მონაწილეობას მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ საბჭოში? ეცნობიან თუ არა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დოკუმენტს? იყენებენ თუ არა მდგრადი განვითარების მიზნებს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის დროს? და სხვა თემატური კითხვები. გარდა ამისა, IDFI-მ შერჩეულ მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ცნობიერების დონის ტენდენციების შესასწავლად, ჩაატარა გამოკითხვა⁴ მდგრადი განვითარების მიზნების თემატიკაზე, შედეგების განზოგადების მიზნით.

ამავდროულად, 4 საპილოტე მუნიციპალიტეტის (ქედა, სენაკი, საგარეჯო და ონი) მაგალითზე, შესწავლილ იქნა მუნიციპალურ ბიუჯეტებში განსაზღვრული პრიორიტეტები და პროგრამები, და განისაზღვრა მათი შესაძლო მისადაგება ნაციონალიზებულ მიზნებთან. ანალიზის შედეგები ანგარიშის დანართ I-ში დეტალურად არის განხილული.⁵

³ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი, თელავის მუნიციპალიტეტი, მცხეთის მუნიციპალიტეტი, ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ცაგერის მუნიციპალიტეტი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, გორის მუნიციპალიტეტი, ქედის მუნიციპალიტეტი, სენაკის მუნიციპალიტეტი, ონის მუნიციპალიტეტი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. შერჩევის მეთოდოლოგია იხილეთ დანართი II-ში.

⁴ კითხვარი იხილეთ დანართი III-ში

⁵ ამგვარი ანალიზი მნიშვნელოვანია ლოკალიზების პროცესის ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების კამპანიების დასაგეგმად.



ინოვაციური გოკუბენტი



მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი დამტკიცდა საქართველოს მთავრობის, 2019 წლის 12 ნოემბრის განკარგულება №2328 საფუძველზე.⁶ იგი მოიცავს 2030 წლის დღის წესრიგიდან გამომდინარე საქართველოს კონტექსტში გადმოტანილ მიზნებს, ამოცანებს, ინდიკატორებს, მონაცემთა წყაროებსა და პასუხისმგებელ უწყებებს.

მატრიცაში მხოლოდ 4 მიზნის ფარგლებშია ნახსენები ადგილობრივი ხელისუფლება. განსაზღვრული 93 ამოცანიდან თითოეულს მისადაგებული აქვს წამყვანი უწყება, მათ შორის გვხვდება მთავრობის ადმინისტრაცია, სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭო, სპეციალური პენიტენციური სამსახური, გენდერული თანასწორობის, ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი კომისია, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, გენერალური პროკურატურა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და სხვადასხვა სამინისტროები. ადგილობრივი მმართველობის ორგანო არც ერთი ამოცანის შემთხვევაში არ არის დასახელებული წამყვან უწყებად.

გლობალური ამოცანა	საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანა	გლობალური ინდიკატორი	საქართველოსთვის მისადაგებული/ეროვნული ინდიკატორი და სამიზნე მაჩვენებელი
მიზანი 1. სიღარიბის ყველა შოკის აღმოსხვრა			
1.5. 2030 წლისთვის ღარიბი და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ამტანობისა და რთული ვითარებიდან გამოსვლის შესაძლებლობების გაზრდა; ასევე მათი დაუცველობისა და მოწყვლადობის შემცირება კლიმატთან დაკავშირებული ექსტრემალური მოვლენებისა და სხვა ეკონომიკური, სოციალური და გარემოსთან დაკავშირებული შოკებისა და კატასტროფების მიმართ	1.5. კლიმატთან დაკავშირებული ექსტრემალური შემთხვევების და გარემოსთან დაკავშირებული სტრესებისა და კატასტროფების პროგნოზირების და ადრეული გაფრთხილების უზრუნველყოფა	1.5.4: ადგილობრივი თვითმმართველობების პროპორციული რაოდენობა, რომლებსაც ეროვნული რისკის შემცირების სტრატეგიის შესაბამისად, მიღებული აქვთ და ახორციელებენ ადგილობრივი კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიებს	1.5.4. მუნიციპალიტეტების პროცენტული ოდენობა, რომლებსაც აქვთ და ახორციელებენ კატასტროფების რისკის შემცირების ადგილობრივ სტრატეგიებს, ეროვნული რისკის შემცირების სტრატეგიის შესაბამისად

⁶ საქართველოს მთავრობის განკარგულება მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება

<p>5.5 პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადანაცვტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა</p>	<p>5.5 პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადანაცვტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა</p>	<p>5.5.1 პარლამენტში და ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა</p>	<p>5.5.1 პარლამენტში და ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა</p> <p>5.5.1.1. პირდაპირი წესით არჩეული ქალი მერების პროპორციული რაოდენობა</p>
--	--	--	---

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მშვიდი განვითარება

<p>11.6 2030 წლისთვის დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით</p>	<p>11.6 2030 წლისთვის დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით</p>	<p>11.6.1: რეგულარულად შეგროვებული და შესაბამისად გადამუშავებული და განთავსებული მყარი ნარჩენების თანაფარდობა წარმოქმნილი მუნიციპალური მყარი ნარჩენების სრულ რაოდენობასთან, ქალაქების მიხედვით</p>	<p>11.6.1. რეგულარულად შეგროვებული და შესაბამისად გადამუშავებული და განთავსებული მყარი ნარჩენების თანაფარდობა წარმოქმნილი მუნიციპალური მყარი ნარჩენების სრულ რაოდენობასთან, შეგროვებული და განთავსებული ქალაქების მიხედვით; სამიზნე: 100%</p>
--	---	--	---

მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მშვიდობიანი, მართლმსაჯულების ხელშეწყობა ყველა ასაკის, უმჯობესი, ანგარიშვალდებულებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე

<p>16.7 ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადანაცვტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა.</p>	<p>16.7 ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადანაცვტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა.</p>	<p>16.7.1: საჯარო დაწესებულებებში (ეროვნულ და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში, საჯარო სამსახურში და მართლმსაჯულების სისტემაში) პოზიციების პროპორციები (სქესის, ასაკის, შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით) ეროვნულ საერთო განაწილებებთან შედარებით.</p>	<p>16.7.1: საჯარო დაწესებულებებში (ეროვნულ და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში, საჯარო სამსახურში და მართლმსაჯულების სისტემაში) პოზიციების პროპორციები (სქესის, ასაკის, შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიხედვით) ეროვნულ საერთო განაწილებებთან შედარებით</p> <p>16.7.1.2. პარლამენტში და საკრებულოებში ქალთა ადგილების წილი.</p>
---	---	--	--

პირველი მიზნის ფარგლებში ადგილობრივ თვითმმართველობებს ეხება მეხუთე ამოცანა, რომელიც მიზნად ისახავს კატასტროფების რისკის შემცირების ადგილობრივი სტრატე-

გიების დანერგვას და ინდიკატორად იყენებს მუნიციპალიტეტების პროცენტულ წილს, რომლებიც უკვე ახორციელებენ აღნიშნულ სტრატეგიებს. მეხუთე მიზნის მეხუთე ამოცანა მოიაზრებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ეფექტიან მონაწილეობის და გადანაცვტილებათა მიღების ყველა დონეზე თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, მათ შორის ერთ-ერთი ინდიკატორი ეხება საკრებულოებში ქალთა პროპორციულ რაოდენობას. მეთერთმეტე მიზნის მეექვსე ამოცანა ფარავს მუნიციპალური ნარჩენების და ჰაერის დაბინძურების საკითხებს, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის იურისდიქციას მიეკუთვნება. დაბოლოს, მეთექვსმეტე მიზნის მეშვიდე ინდიკატორი ემსახურება ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადანაცვტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფას. ერთ-ერთი ინდიკატორი ეხება საჯარო დაწესებულებებში (მათ შორის ადგილობრივ ორგანოებში) პოზიციების პროპორციულ გადანაწილებას (სქესის, ასაკის, შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიხედვით) ეროვნულ საერთო განაწილებასთან შედარებით.

ეროვნული ნებაყოფლობითი მიმოხილვის (VNR) 2020 წლის ანგარიშში⁷, დასკვნების და სამომავლო გეგმების ნაწილში ნახსენებია, რომ სახელმწიფო გეგმავს ადგილობრივი ხელისუფლების წახალისებას, რათა მოახდინონ SDG-ების გათვალისწინება დაგეგმარებისა და საბიუჯეტო პროცესებში. ამ მიზნით, მდგრადი განვითარების საბჭომ შეიმუშავა მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ადგილობრივ დონეზე დანერგვის გეგმა. IDFI-იმ აღნიშნული დოკუმენტი მთავრობის ადმინისტრაციისგან გამოითხოვა და გააანალიზა.

გეგმას 2 ძირითადი ამოცანა აქვს: მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) განხორციელების პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობის სისტემის ჩამოყალიბება, და ადგილობრივ დონეზე ცნობიერების ამაღლება მდგრადი განვითარების მიზნებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ.

პირველი ამოცანის შესრულება სამ ეტაპად განხორციელდება. საწყის ეტაპზე მთავრობის ადმინისტრაცია შეიმუშავებს SDG ლოკალიზების სახელმძღვანელოს, საინფორმაციო ბროშურებს და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ტრენინგ-მოდულებს SDG-ის მონიტორინგისა და დანერგვის საკითხებზე. ხოლო ფინანსთა სამინისტრო პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიაში SDG საკითხების ასახავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. მეორე, ანუ საპილოტე ფაზაზე მთავრობის ადმინისტრაცია სამუშაო შეხვედრებს ჩაატარებს შერჩეულ 5 მუნიციპალიტეტთან (ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, რუსთავი და თელავი). აღნიშნული მუნიციპალიტეტების თანამშრომლებს ასევე ჩაუტარდება ტრენინგები წინა ეტაპზე შეიმუშავებული მოდულების შესაბამისად. თავად მუნიციპალიტეტები განახორციელებენ SDG-ების დანერგვის დოკუმენტაციის მომზადებას და დამტკიცებას, შემდგომ კი შეიმუშავებენ დანერგვის პროცესის მონიტორინგის ანგარიშებს. მესამე და ბოლო ეტაპზე იგეგმება აღნიშნული აქტივობების ყველა მუნიციპალიტეტში დანერგვა 2025 წლამდე.

⁷ <https://sdg.gov.ge/text-page/45>

რაც შეეხება მეორე ამოცანას, მთავრობის ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტები ერთობლივად დაგეგმავენ და ჩაატარებენ ცნობიერების ამაღლების აქტივობებს ადგილობრივ დაინტერესებულ ჯგუფებთან, ადგილობრივ მედიასაშუალებებთან, და საზოგადოების სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებთან. დამატებით, გეგმა მოიცავს მედია კამპანიების განხორციელებას და თემატური კონფერენციების ჩატარებას.



ადგილობრივი თვითმმართველობის
კანონმდებლობისა და პოლიტიკის
მიმოხილვა



ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი სამართლებრივი საფუძვლებია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი⁸ და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია(შემდგომში ქარტია).⁹

ქარტიის რატიფიცირებით საქართველომ აღიარა ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების და სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელი თითქმის ყველა ძირითადი მოთხოვნა. 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში საქართველოში შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის კონსტიტუციური გარანტიები, რაც იმავდროულად ქარტიის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა. ქარტიასთან შესაბამისობაში მოვიდა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობა, რომელმაც განსაზღვრა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების კონცეფცია, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა სტრუქტურა და კომპეტენციის სფერო, გამიჯნა ადგილობრივი ბიუჯეტი სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტისგან და დაადგინა მისი შევსების დამოუკიდებელი წყარო. ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის სფეროს ქარტიის მეოთხე მუხლი ეხება და შემდეგ 6 პუნქტს მოიცავს:

- 1** ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძირითადი უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა განისაზღვრება კონსტიტუციით ან კანონით. ამასთან, ეს დებულება ხელს არ შეუშლის კანონის შესაბამისად ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის დამატებითი უფლებამოსილებებისა და მოვალეობების მინიჭებას სპეციალური მიზნებით.
- 2** ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, კანონის ფარგლებში აქვთ სრული თავისუფლება განახორციელონ თავიანთი ინიციატივა ნებისმიერი საკითხის მიმართ, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან ან რომელიც მინიჭებული არა აქვს ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს.
- 3** როგორც წესი, სახელმწიფო უფლება-მოვალეობების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან. მოვალეობების გადანაწილება სხვა ორგანოსათვის უნდა მოხდეს შესაბამისი ამოცანების მოცულობისა და ბუნების, ასევე ეკონომიკისა და ეფექტურობის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- 4** ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილება, როგორც წესი, იქნება სრული და ექსკლუზიური. იგი არ შეიძლება იქნას შეზღუდული სხვა ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოს მიერ, კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა.

⁸ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

⁹ ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

5

ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოების მიერ უფლებამოსილებათა დელეგირების შემთხვევაში, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ენიჭებათ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თავისუფლება მოახდინონ დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით.

6

რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უნდა გაეწიოთ კონსულტაციები სათანადო დროს და შესაბამისი გზებით ყველა იმ საკითხის დაგეგმვასა და მათზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლებიც მათ პირდაპირ ეხებათ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღების საფუძვლად მითითებულია საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიასთან. კოდექსის¹⁰ თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებათა გამიჯვნა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილებამაქსიმალურადასახავდეს თითოეული მოქალაქის სურვილს დამოსაზრებას. ამ მიზნით მუდმივად უნდა მონმდებოდეს, თუ რამდენად გამართლებულია გადაწყვეტილების მიღება ცენტრალურ დონეზე და ხომ არ იქნება უფრო ეფექტური, რომ ესა თუ ის ქმედება განხორციელდეს რეგიონალურ ან ადგილობრივ დონეებზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული პროპორციულობის პრინციპთან. სუბსიდიარობის პრინციპი ფართოდ გამოიყენება ფედერალურ სახელმწიფოებშიც. იქ ეს პრინციპი გულისხმობს გარკვეულ ფუნქციათა და კომპეტენციათა განხორციელებას ხელი-სუფლების მაქსიმალურად დაბალ საფეხურზე.

კოდექსი გამოყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების 2 სახეს: მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს; და მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

კოდექსის 16-ე მუხლი აწესრიგებს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს. მუხლის მეორე ნაწილი მოიცავს სრულ და ექსკლუზიურ ჩამონათვალს, რაც გულისხმობს რომ აღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელება მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას მიეკუთვნება. მაგალითად:

- ✔ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- ✔ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა;
- ✔ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა;
- ✔ ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების (წყლისა, ტყის და მინის რესურსების) მართვა;

¹⁰ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

- ✔ მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმების, გენერალური გეგმებისა და განაშენიანების გეგმების შემუშავება და დამტკიცება;
- ✔ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ✔ მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
- ✔ წყალმომარაგების და წყალარინების უზრუნველყოფა;
- ✔ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ✔ უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

მოცემული უფლებამოსილებების არასრული ჩამონათვალის დამატებით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. გარდა ამისა, 16-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის, ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით – ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

რაც შეეხება დელეგირებულ უფლებამოსილებებს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანომ მუნიციპალიტეტს შეიძლება გადასცეს ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებაც ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტიანია. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. სათანადო ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტსა და შესაბამის სამინისტროს/სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებას შორის. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დელეგირებული უფლებამოსილებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით განახორციელოს.



ԶԵՆԵՄԻԱԳՆԱՅԻՆ ՆՄԻԱՅՉՈՂ 2020-2025





საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციითა და დაინტერესებული ორგანიზაციების, სპეციალისტების ჩართულობით, მომზადდა 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია¹¹ და მისი განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის მიზნებია ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილების გაზრდა, თვითმმართველობების ფინანსური დეცენტრალიზაცია და უფრო გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის დოკუმენტში წარმოდგენილია 2020-2025 წლების პერიოდში განსახორციელებელი 3 ძირითადი მიზანი:

- 1 თვითმმართველი ერთეულის როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადანაცვლებაში;**
- 2 ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსით;**
- 3 სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება.**

თითოეული მიზანი მოიცავს 2 ან 3 ამოცანას, ხოლო თავად ამოცანები მოიცავენ რამდენიმე განსახორციელებელ აქტივობას.

მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების კონტექსტში განსაკუთრებით რელევანტურია პირველი ძირითადი მიზანი, რომლის პირველი ამოცანა ეხება **ადგილობრივი ხელისუფლებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებისა და გარანტიების პრაქტიკაში არასრულად გამოყენების პრობლემას**, ხოლო აქტივობები ორიენტირებულია:

-  ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირებაზე;
-  ძირითადი უფლებამოსილებების განხორციელების მხარდაჭერაზე.

მეორე ამოცანა ეხება **სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაზრდას**. სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს უნდა გააჩნდეთ ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის. იმავდროულად, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის კონსტიტუციური პრინციპი განაპირობებს იმას, რომ შესაბამისი უფლებამოსილებანი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს სრულად უნდა გადაეცეთ. დეცენტრალიზაციის რეფორმის ფარგლებში უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების კომპეტენციების გაზრდა და მათთვის იმ უფლებამოსილებების

¹¹ დეცენტრალიზაციის სტრატეგია

გადაცემა, რომელთა განხორციელებაც ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტიანი იქნება. მუნიციპალიტეტებისათვის დამატებითი უფლებამოსილების გადაცემა იგეგმება ამ უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო კადრების მომზადებისა და შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით. აღნიშნული ამოცანა მოიცავს 3 კომპონენტს ანუ აქტივობას:

- 1** სუბსიდიარობის პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი უფლებამოსილებების იდენტიფიცირება;
- 2** თვითმმართველი ერთეულის მიერ დამატებითი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- 3** მუნიციპალიტეტების დამატებითი უფლებამოსილებების მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფა.

მეორე ძირითადი მიზანი ითვალისწინებს **ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი შემოსულობების თანმიმდევრული ზრდის ხელშეწყობას და სახელმწიფო რესურსების განაწილების მექანიზმების გაუმჯობესებას**. ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლების წილი მშპ-თან მიმართებაში საკმაოდ დაბალია და ამასთან აღინიშნება ფინანსური უთანაბრობა მუნიციპალიტეტებს შორის. დეცენტრალიზაციის პროცესისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური გათანაბრების მექანიზმების დანერგვა, რომლებიც მოქალაქეს აძლევს ადგილობრივ სერვისებზე ხელმისაწვდომობის შედარებით თანაბარ შესაძლებლობას მიუხედავად იმისა, თუ რომელ მუნიციპალიტეტში ცხოვრობს ის.

დაბოლოს, მესამე ძირითადი მიზანი მოიცავს **ადგილობრივ დონეზე მართვისა და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვას, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვას, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობას, და ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის და კოორდინაციის სისტემის შექმნას**. დეცენტრალიზაციის რეფორმის ფარგლებში იგეგმება ორგანიზაციული მართვის თანამედროვე სისტემების, მათ შორის, ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული საქმიანობის მონიტორინგისა და შედეგების შეფასების ავტომატიზებული სისტემის დანერგვა და ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სრულყოფა. აქვე აღსანიშნავია, რომ უფლებამოსილებების, რესურსებისა და ფუნქციების დეცენტრალიზაციის მიზანია მომსახურების ხარისხის და ეფექტურობის გაუმჯობესება, ფისკალური მენეჯმენტის გაძლიერება, კერძო სექტორის განვითარება, მათ შორის კერძო-საჯარო თანამშრომლობის გაუმჯობესება, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით იგეგმება არსებული კანონმდებლობის გადასინჯვა

და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მონაწილეობითი რგოლის შექმნა, რამაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა ინსტიტუციური მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში. ამ ამოცანის მისაღწევად, ასევე იგეგმება ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფის სხვა ქვეყნების შესაბამისი გამოცდილების შესწავლა, გაზიარება ან/და დანერგვა, მათ შორის სამოქალაქო ბიუჯეტი (მონაწილეობითი ბიუჯეტირება). სტრატეგიით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი რეფორმების წარმატებით განსახორციელებლად და რეფორმებისადმი საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მნიშვნელოვანია შემუშავდეს და თანმიმდევრულად განხორციელდეს საკომუნიკაციო სტრატეგია, რაც უზრუნველყოფს როგორც საზოგადოების ინფორმირებას დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმების შესახებ, აგრეთვე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებისა და უკუკავშირის სისტემატურად მიღებას. დაბოლოს, მესამე ძირითადი მიზნის ბოლო ამოცანის ფარგლებში უნდა განხორციელდეს:

- ➔ მუნიციპალიტეტებში დაგეგმვის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად სტანდარტებისა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავება;
- ➔ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებისა და ინდიკატორების ნუსხის განსაზღვრა, და მუნიციპალიტეტებში დაგეგმვისათვის აუცილებელ მონაცემთა ბაზების გაუმჯობესება;
- ➔ მუნიციპალური ბიუჯეტების სტრატეგიულ და პროგრამულ დაგეგმვის დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ➔ ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებისა და პროგრამების ჰარმონიზება;
- ➔ პოლიტიკის დაგეგმვის ერთიანი ავტომატიზებული ელექტრონული სისტემის დანერგვა.

განსახორციელებელი ღონისძიებები მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებში კარგი მმართველობის პრინციპების დამკვიდრებას, ადამიანური რესურსების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებას. ასევე, მუნიციპალიტეტებში დაგეგმვის და მონიტორინგის სისტემის განვითარებას და შედეგზე ორიენტირებული მართვის ხელშეწყობას. სტრატეგიის თანახმად, შეფასების ანგარიში მომზადდება ორჯერ: შუალედური - სტრატეგიის დამტკიცებიდან ორი წლის შემდეგ და საბოლოო - სტრატეგიის მოქმედების დასრულების შემდეგ წელს. მონიტორინგისა და შეფასებისათვის შესაბამის ანგარიშებს მოამზადებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შესაბამისი უწყებების ანგარიშების საფუძველზე, რომელიც განსახილველად წარედგინება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის სამთავრობო კომისიას და საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს.



SDG დოკუმენტების მარეგულირებელი აქტები და 2030 წლის დღის წესრიგი



როგორც ზემოთ აღინიშნა, SDG იმპლემენტაციის პროცესში წამყვანი როლის მქონე უწყებად განიხილება მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.¹² ამასთან, მდგრადი განვითარების ცალკეული სექტორული მიზნების განხორციელების კოორდინაციისა და ეფექტური მონიტორინგის მიზნით საბჭო ქმნის სამუშაო ჯგუფებს. დებულების მიხედვით, საბჭოს შემადგენლობაში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსთან (რომელიც საბჭოს თავმჯდომარეა), მინისტრთა მოადგილეებთან, გენერალური პროკურატურის, სახალხო დამცველის, საქსტატის, საჯარო სამსახურის ბიუროსა და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად შედიან მუნიციპალიტეტების მერები ან მათი მოადგილეები.¹³

საბჭო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სხდომების მეშვეობით, რომელიც იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ.¹⁴ საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭო უფლებამოსილია, სხდომებში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები სათათბირო ხმის უფლების გარეშე.¹⁵

რაც შეეხება საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №14 ბრძანებით მიღებული მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს დებულების მიხედვით, საბჭოს წინაშე პროექტის ინიცირების უფლება აქვს საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირს. ამასთან, საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო ვერ შეთანხმდება ან ვერ გადაწყვეტს საკითხს, საბჭოს თავმჯდომარე ინიცირებულ პროექტს წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება და ფორმდება სხდომის ოქმით.¹⁶

აღსანიშნავია, რომ საბჭოს ფარგლებში ფუნქციონირებს 4 სამუშაო ჯგუფი (დემოკრატიული მმართველობის სამუშაო ჯგუფი¹⁷, სოციალური ჩართულობის სამუშაო ჯგუფი¹⁸, ეკონომიკური

¹² საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის № 14 ბრძანებით მიღებული მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს დებულება, მუხლი 3.

¹³ იქვე, 9(1.ა-ფ).

¹⁴ იქვე, 4(3-4).

¹⁵ იქვე, 4(11-12).

¹⁶ იქვე, 5(1-4).

¹⁷ იხ. <https://sdg.gov.ge/text-page/41>

¹⁸ იხ. <https://sdg.gov.ge/text-page/38>

განვითარების სამუშაო ჯგუფი¹⁹ და მდგრადი ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამუშაო ჯგუფი²⁰). თითოეულ სამუშაო ჯგუფს გააჩნია შესაბამისი სახელმძღვანელო წესები²¹, რომელთა მიხედვითაც სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია ეროვნულ და ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკაში მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციის მხარდაჭერა²². იმავე სახელმძღვანელო წესის მიხედვით, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ამ წესებით გათვალისწინებული მიზნებისა და მათი ამოცანების შესრულებაზე და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ან თემატურად მომუშავე: სამინისტროების წარმომადგენლები, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიური წრეები, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.²³ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის სრულ ჩამონათვალში²⁴ წარმოდგენილია სახელმძღვანელო წესში ნახსენები ყველა სხვა აქტორი, ამ ეტაპისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის გარდა. აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების გეგმით გათვალისწინებულია აღნიშნულ ჩამონათვალში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების დამატება, რაც მოხდება მათი ჩართულობის შემუშავებული მექანიზმების გათვალისწინებით.

სამუშაო ჯგუფებზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ მის მუშაობას წარმართავს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეებთან და საბჭოს სამდივნოსთან კოორდინაციით, რომლებიც დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თავმჯდომარე/თანათავმჯდომარეები შეირჩევიან ორი წლის ვადით. ამასთან, სახელმძღვანელო წესი განერს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარეთა არჩევის წესს. კერძოდ, მითითებულია, რომ თავმჯდომარე შეირჩევა სამუშაო ჯგუფის წევრი საჯარო დაწესებულებების მიერ; თანათავმჯდომარე არასამთავრობო ორგანიზაციიდან შეირჩევა სამუშაო ჯგუფის წევრი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ; ხოლო თანათავმჯდომარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან შეირჩევა საქართველოში გაეროს მუდმივი წარმომადგენლის ოფისის და ჯგუფის წევრი საქართველოში გაეროს სააგენტოების მიერ.²⁵ აქვე, აღსანიშნავია, რომ თავმჯდომარის, თანათავმჯდომარეებისა და სამდივნოს ფუნქციები განერილია სამუშაო ჯგუფთა სახელმძღვანელო წესების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მონიტორინგისთვის შექმნილია

¹⁹ იხ. <https://sdg.gov.ge/text-page/39>

²⁰ იხ. <https://sdg.gov.ge/text-page/40>

²¹ რომელიც არსებითად მსგავსია.

²² სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელო წესის მე-3(1-ა) მუხლი (იდენტურია ოთხივე სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელო წესში).

²³ იქვე, 9(1).

²⁴ რომელიც ზემოთ მითითებულ ბმულებზეა ხელმისაწვდომი

²⁵ მაგ. დემოკრატიული მმართველობის სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელო წესი, მუხლი 4.

სპეციალური ელექტრონული სისტემა,²⁶ რომელშიც ჩართულნი არიან SDGs ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები. SDGs მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის თებერვლის დასაწყისში. მონიტორინგის სისტემაში ჩართულ უწყებებს აქვთ 1-თვიანი ვადა, სისტემის მეშვეობით ანგარიშგება მოახდინონ სამდივნოს წინაშე. ყოველწლიური ანგარიში წარედგინება მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოსა და თემატურ სამუშაო ჯგუფებს.

რაც შეეხება, მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის საკანონმდებლო დონეზე მონერსიგების საკითხს, აღსანიშნავია, რომ Matsne.gov.ge-ზე არ იძებნება რაიმე ნორმატიული აქტი „მდგრადი განვითარების მიზნების“/”SDGs“-ის შესახებ, გარდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის №2328 განკარგულებისა - „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე“²⁷. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არც საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და არც საბიუჯეტო კოდექსში არაფერია ნათქვამი უშუალოდ მდგრადი განვითარების მიზნებზე. თუმცა ამ საკანონმდებლო აქტებში ვხვდებით გარკვეულ ჩანაწერებს, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ პოლიტიკის დაგეგმვისა თუ ბიუჯეტის მიღების პროცედურებსა და მასში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას ეხება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს²⁸. ასევე, კოდექსი ცალკე გამოყოფს მერის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად, სათათბირო ორგანოების, მათ შორის, საბჭოების, კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების შექმნის უფლებამოსილებას²⁹, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე მოსული პასუხების მიხედვით,³⁰ მუნიციპალიტეტთა ტერიტორიაზე არ არის შექმნილი მდგრადი განვითარების საბჭოები. SDG-ების დანერგვის ერთ-ერთ საშუალებად ასევე შეიძლება განვიხილოთ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-8 ნაწილი, „საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ურთიერთშესაბამისობას. საქართველოს სამინისტროები უზრუნველყოფენ ამ მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე დამტკიცებული მათი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონთან

²⁶ <http://sdg.gov.ge>

²⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4732470?publication=0> - განკარგულებას თან ახლავს ორი დანართი.

²⁸ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 19.ბ.

²⁹ იქვე, 54(1.ე.ვ).

³⁰ მაგ. ახალციხე (წერ. N 12-1221232121), ბათუმი (წერ. N 01-1421249251), ზუგდიდი (წერ. N 24-2421231125), თელავი (წერ. N 01-262123237), ოზურგეთი (წერ. N 01-3621256248), ონი (წერ. N 78-782122915), ქუთაისი (წერ. N 01-4421239180), ცაგერი (e-mail).

შესაბამისობას.“

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის საკითხს, კოდექსის მიხედვით, ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადანყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის.³¹ ამასთან, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში და დადგენილი წესით, შეუზღუდავად ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებით.³² გარდა ამისა, კოდექსი ჩამოთვლის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებს. კერძოდ, ასეთად განსაზღვრავს: დასახლების საერთო კრებას, პეტიციას, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობას, მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ განუული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენას.³³

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას და განხილვას და ამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას, აღნიშნული საკითხი მონესრიგებულია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, ისე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით³⁴.

უფრო კონკრეტულად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად არაუგვიანეს 15 ნოემბრისა მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს (ბიუჯეტის პროექტთან ერთად საკრებულოს წარედგინება შესაბამისი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი,³⁵ რომელიც არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, სადაც ასახულია ინფორმაცია საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ³⁶), რის შემდეგაც, მუნიციპალიტეტის საკრებულო ბიუჯეტის პროექტს მისი წარდგენიდან 5 დღის ვადაში აქვეყნებს საჯარო განხილვისთვის. მუნიციპალიტეტის საკრებულო საჯაროდ განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყე-

³¹ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85(1),

³² იქვე, 85(2).

³³ იქვე, 85(4).

³⁴ იქვე, 89(2).

³⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77(8).

³⁶ იქვე, 76(1).

ბამდე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.³⁷ ამასთან, წლიური ბიუჯეტი ქვეყნდება და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.³⁸

საჯარო განხილვაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 87-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს. საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია.

აქვე, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში გარკვეულწილად ჩართულია **ცენტრალური ხელისუფლებაც**. კერძოდ, მართალია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს (რომელიც ასევე მოიცავს პრიორიტეტების დოკუმენტების შემუშავებას მინისტრის № 385 ბრძანებაში გათვალისწინებული სარეკომენდაციო მეთოდოლოგიის თანახმად) კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, თუმცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტებს უზრუნველყოფს შესაბამისი მეთოდური მითითებებით³⁹. ამასთან, ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტის ორგანოებს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს. სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახადებების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად. ფინანსთა სამინისტრო არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა აცნობებს მუნიციპალიტეტის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისთვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს⁴⁰. მინისტრის № 385 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მიხედვით, სამინისტროებმა, მათი დეტალური საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადებისას, უნდა გაითვალისწინონ, რომ „იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიება წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულების შესრულების ნაწილს ან/და შესაბამის სფეროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, მათ შორის შესაბამისი სექტორული ან სხვა სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნაწილს, მნიშვნელოვანია, რომ

³⁷ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 91(1-3).

³⁸ იქვე, 91(9).

³⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 75.

⁴⁰ იქვე, 77(1-2.6)

მიეთითოს აღნიშნული ინფორმაცია, შესაძლებელია ეს ინფორმაცია შინაარსის მიხედვით მიეთითოს, როგორც პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიებების აღწერის ნაწილში, ისე მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების ნაწილში. ასევე უნდა მიეთითოს დაგეგმილი პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების შესაბამისობა გაეროს მდგრადი განვითარების (SDG) მიზნებთან - 2030, ასეთის არსებობის შემთხვევაში“.

ამასთან, კოდექსი ასევე განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს ვალდებულებას, მოამზადოს **ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში** და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა წარუდგინოს იგი წარმომადგენლობით ორგანოს⁴¹. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო - საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არაუგვიანეს 1-ლი მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ. ამასთან, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნა და შესრულების წლიური ანგარიში საჯარო ინფორმაციაა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის⁴².

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართულობის კუთხით, საინტერესო ჩანაწერს ვხვდებით „**დეცენტრალიზაციის სტრატეგია - 2020-2025**“ დოკუმენტში. კერძოდ, სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების მიზნის მიხედვით ერთ-ერთ ამოცანად (3.3) იგი განერს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობას, რის ერთ-ერთ აქტივობადაც (3.3.1.) გათვალისწინებულია: „**გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ბაზისა და მექანიზმების სხეულოფა - გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა საბიუჯეტო პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდება. გადაიხედება ახლებული ჩართულობის ფორმები, როგორც საკანონმდებლო, ისე ორგანიზაციული და მაგეჩიადუჩტეენიკუჩი კუთხით. ასევე, კაჩიე პჩაქციკის გათვარისწინებით შემუშავდება წინადაებები ჩართულობის ახალი მექანიზმების დასანეჩგად**“.⁴³ სტრატეგიაში ამგვარი ჩანაწერის არსებობის მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ზემოთ განხილულ მუხლებს სტრატეგიის მიღების შემდგომ პერიოდში ცვლილებები ჯერჯერობით არ შეხებია.

გარდა ამისა, იგივე სტრატეგიის დოკუმენტში საუბარია ადგილობრივი განვითარების დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის შექმნის მიზანზე (3.4). აღნიშნულია, რომ „**ადგილობრივი თვითმმართველობის სხეულოფიდი განხორციელება დამოკიებუდია თვითმმართველი ეჩთუედის განვითარების დაგეგმვისა და კოორდინაციის თანმიმდევრული და მდგადი სისტემის ახებო-**

⁴¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 86.

⁴² იქვე, 88(1-2)

⁴³ „დეცენტრალიზაციის სტრატეგია - 2020-2025“ - აქტივობა 3.3.1., გვ.22.

ბაზე. მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმვადიან სტრატეგიის გახეშე შეუძლებელი იქნება გადაიჭხას მუნიციპალიტეტში ახლებული სოციალური და ეკონომიკური პირობებები“.⁴⁴ განვითარების დაგეგმვის საკანონმდებლო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით კი მითითებულია, რომ „საეხთაშოხისო პიქტივის გათვადისწინებით, მომზადება საკანონმდებლო აქტები, ხომღითაც განისაზღვრება ტეხიგოხიური (ეხოვნური, ხეგონური, მუნიციპალური) განვითარების დოკუმენტის სახეები, იეხაქია, მათი მომზადებისა და მიღების პოცეფეხები, ინსტიტუციები, განხოციეების მონიგოხინგისა და შეფასების სისტემები, განვითარების დოკუმენტის მიმახთება შესაბამის ბიუჯეტთან“.⁴⁵ თუმცა, ჩამოთვლილი აქტები პრაქტიკაში ჯერჯერობით არ მომზადებულა და მნიშვნელოვანია, მათი შედგენის დროს მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინება.

საინტერესოა „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილება, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი ადგენს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ერთიან პროცედურებს, მეთოდოლოგიასა და სტანდარტებს და მიზნად ისახავს შედეგებზე ორიენტირებული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების დანერგვასა და ამ მიმართულებებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბებას.⁴⁶ იგი ვრცელდება პოლიტიკის დოკუმენტებზე, რომლებიც დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას (ასეთად განიხილება პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც ექცევა ორი ან მეტი პასუხისმგებელი უწყების კომპეტენციის სფეროში).⁴⁷ მართალია, აღნიშნული დადგენილება პირდაპირ არ ეხება მუნიციპალურ ორგანოებს, მაგრამ მნიშვნელოვანია ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, მსგავსი პრაქტიკის დანერგვა ადგილობრივ დონეზეც.

დადგენილების მიხედვით, პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და მიღება რამდენიმე საფეხურიანი პროცესია და მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების ყოველწლიური სამოქმედო გეგმის⁴⁸ დამტკიცების კვალდაკვალ, პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების დაწყების მიზნით, ითვალისწინებს საჯარო უწყების ან/და მაკოორდინირებელი ორგანოს მიერ: ა) დაინტერესებული მხარეების განსაზღვრასა და პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფას; ბ) დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით სფეროს/საკითხის სიტუაციის ანალიზის ჩატარებას; გ) სიტუაციის ანალიზის საფუძველზე პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების დადგენას, სექტორულ პრიორიტეტების განსაზღვრასა და მათ დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებას;

⁴⁴ იქვე, ამოცანა 3.4.

⁴⁵ იქვე, აქტივობა 3.4.1.

⁴⁶ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერი №629 დადგენილება „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0>

⁴⁷ იქვე, მუხლი 3(1-2).

⁴⁸ იქვე, მუხლი 6.

დ) პრიორიტეტებზე პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრას; ე) პრიორიტეტების შესაბამისად, პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად, პოლიტიკის დოკუმენტის ხედვის, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას; ვ) განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, გავლენისა და ამოცანის შედეგების ინდიკატორებისა და საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების დადგენას; ზ) დასახული გავლენისა და ამოცანების შედეგების მისაღწევად პოლიტიკის ალტერნატივების განსაზღვრასა და შეფასებას და ხარჯეფექტიანობისა და რეალისტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, საუკეთესოს არჩევას; თ) შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივების შესაბამისად სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას; ი) სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განსაზღვრის მიზნით, სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის შემუშავებას; კ) პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის განსაზღვრას.⁴⁹ ამასთან, დადგენილებაში მითითებულია, რომ პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების ყველა ეტაპი უნდა წარმართოს **სახელმძღვანელოში** მითითებული სტანდარტების შესაბამისად.⁵⁰

აღსანიშნავია, რომ მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილების შესაბამისად, პოლიტიკის დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო ითვალისწინებს პოლიტიკის დოკუმენტებში წარმოდგენილი თითოეული მიზნის კავშირის უზრუნველყოფას მდგრადი განვითარების მიზნებთან.⁵¹

„პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო (დანართი 2) – **„ლოგიკური ჩარჩოს შემუშავების ინსტრუქციის“** მიხედვით, ლოგიკური ჩარჩოს (Logical Framework) შაბლონში, მისათითებლად სავალდებულო ერთ-ერთ კომპონენტად წარმოდგენილია: **„მიზნის კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) - მიეთითოს ინფორმაცია მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან, რომელს ეხმიანება ყველაზე მეტად სტატეგიაში წახმოუდგენილი მიზანი. უჭაში შესაძლებელია მითითებული იქნეს ასევე მდგრადი განვითარების ხამდენიმე მიზანიც.“** (ანალოგიური ტიპის ჩანაწერს ვხვდებით „სამოქმედო გეგმის შემუშავების ინსტრუქცია, პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოში“ (დანართი 4)).⁵²

⁴⁹ იქვე, მუხლი 7(2).

⁵⁰ იქვე, 7(3).

⁵¹ მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველო, „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო“, გვ.23. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0> დანართი: „ნოხმატიუდი-აქტი-2 (5171513b)„


⁵² 1. პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, დანართი 2 – „ლოგიკური ჩარჩოს შემუშავების ინსტრუქცია“, გვ. 10.
2. სამოქმედო გეგმის შემუშავების ინსტრუქცია, პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, დანართი 4, გვ.8. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0> დანართი: „ნოხმატიუდი-აქტი-4 (2443462b)„ და „ნოხმატიუდი-აქტი-7 (987377b)„





დაინტენჯენებზე მხარეთა მიმონიღვნი და ჩინთუნღმონს გეგმნი





მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტური ლოკალიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია ყველა რელევანტური დაინტერესებული მხარის იდენტიფიცირება, მათი ინტერესების განსაზღვრა, და ჩართულობის უზრუნველყოფა. შეიძლება გამოიყოს შემდეგი დაინტერესებული პირები, მათი პასუხისმგებლობები და ლოკალიზაციის პროცესში მათი შესაძლო როლი:

 **მდგრადი განვითარების საბჭო:** უზრუნველყოფს SDG-ების განხორციელების ხელშეწყობასა და შესრულების მონიტორინგს ეროვნულ დონეზე და ანგარიშვალდებულია პრემიერ მინისტრთან. მიზნების ლოკალიზებისა და მუნიციპალიტეტების ჩართულობის მექანიზმების დასახვის პროცესში მნიშვნელოვანი იქნება საბჭოს მხარდაჭერა.


 **თემატური სამუშაო ჯგუფები:** საბჭოს ფარგლებში შექმნილია 4 სამუშაო ჯგუფი, რომელთა მიზანია მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი. მათ სხვა ამოცანებს შორის შედის ეროვნული და ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკაში მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციის მხარდაჭერა. ლოკალიზების პროცესში მუნიციპალიტეტებისთვის მნიშვნელოვანი იქნება სამუშაო ჯგუფებთან კოორდინაცია.


 **მუნიციპალური საბიუჯეტო პროცესის ხელმძღვანელი სამუშაო ჯგუფი:** ფინანსთა მინისტრის №2385 ბრძანებაში მოცემული მეთოდოლოგიის თანახმად, მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს საბიუჯეტო პროცესს. ლოკალიზების პროცესში სამუშაო ჯგუფს მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლია შეიტანოს დასახული მიზნების მუნიციპალურ ბიუჯეტებში გათვალისწინებაში.


 **მუნიციპალიტეტის მერი და მოადგილეები:** მერი სხვა მრავალ უფლებამოსილებასთან ერთად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას და განხორციელებას. მერის მოადგილე კი მერიის ცალკეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია. იგი პასუხისმგებელია ამ ერთეულისთვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისათვის. მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღები პირების უშუალო ჩართულობა, რაც მიზნების ლოკალიზების დროს მყარ პოლიტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს.


 **საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია:** ორგანიზაცია აერთიანებს საქართველოს ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს. ასოციაციის მიზანია, ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება, სახელმწიფო ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციების განვითარება. მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების შესახებ ინტერ-მუნიციპალური თანამშრომლობის, ასევე სადისკუსიო პლატფორმების შესაქმნე-


ლად, და კარგი პრაქტიკების გასაზიარებლად ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციები სხვა ქვეყნებში წარმატებით საქმიანობენ.


 **მთავრობის ადმინისტრაცია:** წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების მაკრორეგულირებელ ორგანოს, შესაბამისად მნიშვნელოვანია ლოკალიზების დროს მთავრობის ადმინისტრაციის მხარდაჭერა.


 **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** აქვს შესაძლებლობა გამოსცეს შესასრულებლად სავალდებულო რეკომენდაციები. უკანასკნელი ანგარიშის ფარგლებში აუდიტის სამსახურმა გასცა მუნიციპალიტეტების ჩართულობის უზრუნველყოფის რეკომენდაცია. თუმცა, სამსახური სხვადასხვა აუდიტორული ანგარიშის მომზადების დროს ითვალისწინებს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების საკითხს და აღნიშნული ინფორმაცია სამსახურის ოფიციალურ გვერდზეც ცალკე არის მოცემული.⁵³


 **მუნიციპალური საკრებულოები:** ამტკიცებს სამოქმედო გეგმებსა და ბიუჯეტს, ადგილობრივ დონეზე მდგრადი და ქმედითი ცვლილებების ეფექტურად დასაწერად აუცილებელია ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს ჩართულობა და მხარდაჭერა.

 **მერიის რიგითი თანამშრომლები:** ადგილობრივ დონეზე აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომლების გარკვეული ნაწილი უშუალოდ იქნება ჩართული მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვის პროცესში (საბიუჯეტო პროცესის ხელმძღვანელი ჯგუფი, შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირები, და სხვა).

 **ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება და აკადემია:** სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები ხშირად ფლობენ ცალკეულ საკითხებზე ექსპერტიზას და შეუძლიათ დადებითი როლი ითამაშონ ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკების შექმნისას. მათი ჩართულობის წახალისება უზრუნველყოფს ლოკალიზების პროცესის უფრო სრულყოფილ და ყოვლისმომცველ მიმდინარეობას.

 **კერძო სექტორი:** მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვის პროცესში მრავალი ამოცანა შეიძლება გადაიკვეთოს კერძო სექტორის საქმიანობასთან, ასევე აღსანიშნავია სხვადასხვა პროგრამები და პროექტები (ინფრასტრუქტურული, სოციალური და სხვა), რომელთა განხორციელებაში ჩართვაც მომგებიანი იქნება ადგილობრივი კომპანიებისთვის.

 **ადგილობრივი მედია:** მედიის როლი მნიშვნელოვანია ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების პროცესში.

 **ადგილობრივი მოსახლეობა:** მოქალაქეებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ სხვადასხვა

⁵³ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პორტალზე მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების შესახებ შეფასებები და რეკომენდაციები: <https://budgetmonitor.ge/ka/sdg>

მიზნების და ამოცანების განხორციელების პროცესში, მაგალითად, მათთვის აქტუალური ადგილობრივი პრობლემების მოგვარების პროცესში. ამავდროულად, ინფორმირებული მოქალაქე, როგორც მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მთავარი და საბოლოო ბენეფიციარი, ირჩევს პოლიტიკური თანამდებობის პირებს, რომელთა ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე წარმოადგენს ძლიერ დემოკრატიულ მექანიზმს ადგილობრივ დონეზე SDG-ების დანერგვის მისაღწევად.

ლოკალიზების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების უკეთ გასათვალისწინებლად და ეფექტური კოორდინაციისთვის, მნიშვნელოვანია თითოეული სამიზნე აუდიტორიის სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინება. ამისთვის, დაინტერესებული მხარეები შეიძლება პირობითად დალაგდეს მათი გავლენისა და ინტერესის გათვალისწინებით. ჰორიზონტალურ ღერძზე სუბიექტები განლაგდებიან ინტერესის დონის მიხედვით, ანუ რამდენად არის მდგრადი განვითარების ლოკალიზების პროცესი და მის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება მათ ინტერესში და რამდენად იქონიებს გავლენას მისი წარმატებული დანერგვა. ხოლო ვერტიკალურ ღერძზე წარმოდგენილია გავლენის მიხედვით განლაგება, ანუ რა ხარისხით შეუძიათ ცალკეულ დაინტერესებულ მხარეებს პროცესებზე გავლენის მოხდენა.

მოცემულ მატრიცაზე წარმოდგენილია მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვით დაინტერესებული მხარეები, როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე:

	მეორეული ინსტიტუტი	მესამეული ინსტიტუტი
მეორეული გაპკენა	<ul style="list-style-type: none"> ☑ მთავრობის ადმინისტრაცია ☑ მდგრადი განვითარების საბჭო ☑ თემური სამუშაო ჯგუფები ☑ მუნიციპალური საბიუჯეტო პროცესის ხელმძღვანელი სამუშაო ჯგუფი ☑ მუნიციპალიტეტის მერი და მოადგილეები ☑ სამინისტროები 	<ul style="list-style-type: none"> ☑ სახელმწიფო აუდიტის სამსახური ☑ მუნიციპალური საკრებულოები
მესამეული გაპკენა	<ul style="list-style-type: none"> ☑ მერიის რიგითი თანამშრომლები ☑ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია ☑ უნივერსიტეტები ☑ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები 	<ul style="list-style-type: none"> ☑ ადგილობრივი მოსახლეობა ☑ ადგილობრივი მედია ☑ კერძო სექტორი

პირველ ჯგუფში მოქმედ სუბიექტებს, აქვთ მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების განხორციელების მაღალი ინტერესი, ისევე როგორც პროცესებზე გავლენის მოხდენის მაღალი შესაძლებლობა. ლოკალიზებისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობებისთვის მნიშვნელოვანია ამ სუბიექტების მაქსიმალური ჩართულობა და მათთან ინტენსიური თანამშრომლობა. შესაძლო აქტივობები აღნიშნული სამიზნე ჯგუფებისთვის: სამუშაო შეხვედრები, ინფორმაციის მუდმივი გაცვლა, საერთო სამუშაო ფორმატების თუ ჯგუფების შექმნა, საერთო ინიციატივები.

მეორე ჯგუფში შემავალი დაინტერესებული მხარეები გამოირჩევიან პროცესებზე მაღალი გავლენით, თუმცა მათ არ გააჩნიათ პირდაპირი ინტერესი, რაც შესაძლოა მიზნებისა და ლოკალიზების მნიშვნელობის შესახებ ნაკლები ინფორმირებით იყოს გამოწვეული. შედეგად, მნიშვნელოვანია ასეთი სუბიექტების მუდმივი ინფორმირება და მათი მაქსიმალურად დაინტერესება. შესაძლო აქტივობები აღნიშნული სამიზნე ჯგუფებისთვის: საინფორმაციო შეხვედრები/სესიები, დისკუსიების მოწყობა, კვლევებისა და ანგარიშების, ასევე, საერთაშორისო პრაქტიკების გაზიარება/პრეზენტაცია, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები და ა.შ.

ლოკალიზებისა და მიზნების განხორციელების დროს მნიშვნელოვანია მაღალი დაინტერესების მქონე მხარეებისთვის ჩართულობის მექანიზმების უზრუნველყოფა, რადგანაც მართალია მათ პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენის მცირე ბერკეტები აქვთ, მაგრამ საკუთარი გამოცდილებით მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ პროცესში. ამავდროულად, ისინი აცნობიერებენ, რომ მიზნების განხორციელება გავლენას იქონიებს მათ კეთილდღეობასა და ცხოვრების დონეზე, ამიტომაც აქვთ მოტივაცია და ინტერესი მონაწილეობა მიიღონ ლოკალიზებისა და განხორციელების აქტივობებში. აღნიშნული სამიზნე ჯგუფების პროცესში ჩასართავად შესაძლოა დაიგეგმოს ცნობიერების ამაღლების ტრენინგები, კამპანიები, სამუშაო შეხვედრები, საერთო მასშტაბური ღონისძიებები, ასევე, შეიქმნას საკონსულტაციო და/ან საინიციატივო ჯგუფები.

დაბოლოს, მეოთხე კატეგორიის დაინტერესებულ მხარეს გააჩნია დაბალი ინტერესი და მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოხდენის მცირე შესაძლებლობა. ამ ეტაპზე ამ კატეგორიაში ადგილობრივი მოსახლეობა, მედია და კერძო სექტორი მოიაზრება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარება, რათა ხსენებულმა სამიზნე ჯგუფებმა შეძლონ საკუთარი ინტერესის დანახვა მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვაში.

მნიშვნელოვანია აღნიშნული გარემოებების გათვალისწინება ლოკალიზების, ცნობიერების ამაღლებისა და მიზნების განხორციელების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ეფექტური საკომუნიკაციო სტრატეგიისა და მიდგომების ჩამოსაყალიბებლად.



მდგრადი განვითარების მიზნების შენიშვნების შეფასება



მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების პერსპექტივების განხილვამდე, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ნაციონალიზებული მიზნების შესრულების პროგრესი და აქამდე გამოვლენილი მთავარი გამოწვევები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა, რამდენად მზად არის საქართველო მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. კერძოდ, აუდიტის შესწავლის საგანს წარმოადგენდა SDG-ების საბჭოსა და ზემოაღნიშნული სამინისტროების მიერ 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნულ/ინსტიტუციურ კონტექსტში ინტეგრირების მიზნით 2016 წლიდან 2018 წლის დეკემბრამდე განხორციელებული აქტივობები. აუდიტის შედეგად მოხდა 3 ძირითადი მიზნის იდენტიფიცირება:

- ❖ მიზნების ეროვნულ კონტექსტში ინტეგრირება;
- ❖ SDG-ების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირება;
- ❖ მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩოს ჩამოყალიბება.

2030 წლის დღის წესრიგის ეროვნულ კონტექსტში ინტეგრირების პროცესში გამოვლენილ სხვა ნაკლოვანებებთან ერთად, აუდიტის სამსახურმა აღნიშნა, რომ SDG-ების მატრიცას კვლავ არ აქვს ფორმალური სახე და მასში განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები მხოლოდ ფრაგმენტულად არის ინტეგრირებული 2019-2022 წლების ქვეყნის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებში (BDD), სტრატეგიულ დოკუმენტებში, სამინისტროების 2019-2022 წლების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში და მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტებში.

ანგარიშის შედეგად, აუდიტის სამსახურმა 7 რეკომენდაცია გასცა მთავრობის ადმინისტრაციას, ხოლო 4 რეკომენდაცია SDG-ების განხორციელებაში ჩართულ სამინისტროებზე:

SDG-ების საბჭოს:

1 მდგრადი განვითარების მიზნების უნივერსალური და ინკლუზიური ბუნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მათი განხორციელების პროცესში ჩართული იყოს როგორც ცენტრალური, ასევე - ადგილობრივი ხელისუფლება. შესაბამისად, საბჭომ უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების ჩართვა SDG-ების რეალიზაციის პროცესში;

2 SDG-ების მატრიცის ქმედითი ჩარჩო-დოკუმენტის ფუნქციის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია SDG-ების საბჭომ მოახდინოს მთავრობის მიერ დოკუმენტის მონონებისათვის საჭირო ღონისძიებების დროული ინიცირება;

3

SDG-ების საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების ინკლუზიურობისა და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია:

- ☛ თემატურ სამუშაო ჯგუფებთან ერთად მოხდეს პროცესში მონაწილე ყველა რელევანტური მხარის იდენტიფიცირება, მათი ცნობიერების ამაღლება და ჩართულობის უზრუნველყოფა საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, თემატიკიდან გამომდინარე;
- ☛ თემატურ სამუშაო ჯგუფებთან ერთად განისაზღვროს ჩართული უწყებების/ორგანიზაციების როლები და პასუხისმგებლობები;
- ☛ შემუშავდეს SDG-ების საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების სამოქმედო გეგმები, სადაც წარმოდგენილი იქნება მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში განსახორციელებელი ღონისძიებები, ვადები და საჭირო რესურსები.

4

მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების დროული და ეფექტური მონიტორინგისა და ანგარიშების მიზნით, SDG-ების საბჭომ შეიმუშაოს მონიტორინგისა და ანგარიშების ჩარჩო, რაც გულისხმობს:

- ☛ მონიტორინგის ვებპორტალის დროულად დასრულებასა და პრაქტიკაში დანერგვას;
- ☛ განმახორციელებელი ორგანიზაციების საბჭოს მიმართ ანგარიშების ფორმატისა და პერიოდულობის განსაზღვრას;
- ☛ მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით ეროვნული პროგრესის შესახებ ანგარიშების პერიოდულობის განსაზღვრას.

SDG-ების საბჭოსა და სამინისტროებს:

5

SDG-ების მატრიცაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, SDG-ების საბჭომ და სამინისტროებმა უზრუნველყონ:

- ☛ თითოეულ ამოცანაზე/ინდიკატორზე პასუხისმგებელი კონკრეტული უწყებების იდენტიფიცირება;
- ☛ მიზნებს/ამოცანებს შორის ურთიერთკავშირების ხასიათისა და მასშტაბების ანალიზი, რომლის საფუძველზე განისაზღვრება კონკრეტული ამოცანის მიღწევაში თითოეული უწყების უშუალო პასუხისმგებლობა.

6 მიზნებისა და ამოცანების დროული, ეფექტიანი და შეუფერხებელი განხორციელებისათვის, SDG-ების საბჭომ და სამინისტროებმა, SDG-ების მიღწევის პროცესში ჩართულ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, გააანალიზონ და შეაფასონ მიზნების/ამოცანების რეალიზაციისათვის საჭირო რესურსები, მათ შორის: ადამიანური, ფინანსური, ICT ტექნოლოგიები და მონაცემები;

7 SDG-ების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულების გამართული მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, SDG-ების საბჭომ და სამინისტროებმა, სხვა რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, უზრუნველყონ SDG-ების მატრიცის ყველა ინდიკატორის შესახებ კონკრეტული საბაზისო მონაცემისა და მონაცემთა წყაროს წარმოდგენა.

სამინისტროებს:

8 სამინისტროებმა უზრუნველყონ SDG-ების მატრიცაში წარმოდგენილი იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების სტრატეგიულ და პოლიტიკის დოკუმენტებში, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებსა და ბიუჯეტის პროგრამულ დანართში ინტეგრირება, რომელთა განხორციელებაში უშუალოდ არიან ჩართულნი.

IDFI-მ აუდიტის სამსახურისგან გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. 2021 წლის აპრილის მდგომარეობით, ადმინისტრაციაზე გაცემული რეკომენდაციებიდან 3 შესრულებულია, 3 ნაწილობრივ შესრულებული ხოლო 1 მიმდინარე. სამინისტროებიდან მხოლოდ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აქვს შესრულებული ოთხივე რეკომენდაცია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროზე გაცემული 4 რეკომენდაციიდან 2 შესრულებულია, 2 კი ნაწილობრივ შესრულებული. დანარჩენ სამინისტროებს შესრულებული აქვთ 3 რეკომენდაცია, ხოლო 1 მიმდინარე ან ნაწილობრივ შესრულებული.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშის გამოქვეყნების შემდგომ შემუშავებულ მომდევნო 3 BDD დოკუმენტში უფრო პირდაპირად არის ნახსენები ცალკეული SDG-ის ინდიკატორები და ისინი დაკავშირებულია კონკრეტულ განსახორციელებლ პროგრამებთან. მაგალითად, სოციალური დაცვის პროგრამას თან ერთვის ჩანაწერი, რომელიც აღნიშნავს, რომ პროგრამის ფარგლებში მოწყვლადი ჯგუფებისთვის გათვალისწინებული ფულადი გასაცემლები ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნებით (SDG) განსაზღვრული 1.3.1 ინდიკატორის შესრულებას (ნაციონალური SDG მატრიცა).

გარდა ამისა, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის პროგრამა დაკავშირებულია SDG 15.1 და SDG 15.5 ამოცანების შესრულებასთან, რომლებიც უკავშირდება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს და მდგომარეობის შეფასების საფუძველზე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნას. გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგის, პროგნოზირების და პრევენციის პროგრამა

ასევე უკავშირდება SDG 11.6 და 14.4 ნაციონალიზებულ ამოცანებს, რომლებიც მოიცავენ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგსა და საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს, შიდა წყალსატევების თევზჭერის სტატისტიკურ ანალიზსა და გარემოსდაცვითი სტატუსტის განსაზღვრას. დაბოლოს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფრასტრუქტურის პროგრამის აღწერაში გვხვდება ზოგადი ჩანაწერი, რომელიც პროგრამის შესრულებას უსაბამებს SDG 4-სა და მის შესრულების ინდიკატორებს.

აღნიშნული ჩანაწერები გვხვდება როგორც 2020-2023 წლის BDD დოკუმენტში, ასევე 2021-2024 და 2022-2025 წლის BDD დოკუმენტებში.

რაც შეეხება ადგილობრივ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მდგომარეობის შეფასებას, SDG-ების მატრიცა არ არის ინტეგრირებული მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტებში. აღნიშნული დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ მუნიციპალიტეტები არ არიან ჩართული SDG-ების განხორციელების პროცესში. აუდიტის სამსახურის ცნობით, ამ ეტაპზე ამ მიმართულებით განსაზღვრული არ არის აუდიტის ჩატარება.




**მდგრადი განვითარების მიზნების
შესახებ ცნობიერების ღონის
მიმონიღვა მუნიციპალიტეტებში**



მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, რაც უზრუნველყოფს საჭიროებებზე მორგებული აქტივობების განსაზღვრას და განხორციელებას. ამისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ყველა სამიზნე ჯგუფს ჰქონდეს ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნებზე და მათ განხორციელებაში ადგილობრივი ჯგუფების როლზე.


2030 დღის წესრიგის შესახებ ცნობიერების დონის კუთხით არსებული ვითარების ტენდენციების გამოსავლენად, IDFI-მ ჩაატარა შერჩეულ 14 მუნიციპალიტეტზე გათვლილი გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოება, მედია, კერძო სექტორი, აკადემია და სხვა) მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით ცნობიერების დონის და საჭიროებების შეფასება. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 152-მა ადამიანმა. აღსანიშნავია რომ, გამოკითხულთა მწირი რაოდენობა შესაძლოა განაპირობებდეს ცდომილების მაღალ მაჩვენებელს.

რესპოდენტები თითქმის თანაბრად იყვნენ გადანაწილებული 21-30, 31-40, 41-50, 51-60 ასაკობრივ ჯგუფებში. შედეგების თანახმად, მათგან 93%-ს სმენია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, 82% სწორად ასახელებს მიზნების რაოდენობას, 75% სწორად განმარტავს მდგრად განვითარებას.




კითხვარს ყველაზე დიდი გამოხმაურება არასამთავრობო სექტორიდან მოჰყვა და გამოკითხულთა 45% შეადგინა. ადგილობრივი საჯარო დაწესებულებების (მერია, საკრებულო, იურიდიული პირი) წარმომადგენლებმა რესპოდენტების 23% შეადგინა, აკადემიის და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა კი 16% და 10%, შესაბამისად.

რესპოდენტების განაწილება სექტორის მიხედვით



საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა 46%-ის მოსაზრებით, მათი მუნიციპალიტეტი ჩართულია SDG-ების განხორციელების პროცესში. ასევე, მხოლოდ 54%-ს სმენია მდგრადი განვითარების ეროვნული დოკუმენტის შესახებ, ხოლო რესპოდენტების 62.6% აცხადებს, რომ თავიანთი საქმიანობის ფარგლებში ჰქონიათ შეხება გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზნებთან, მათი უმრავლესობა ასახელებს პირველ 5 მიზანს და 13-ე მიზანს.

ჩართულია თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტი მიზნების განხორციელების პროცესში?





რესპოდენტების უმრავლესობას (81.4%) სმენია მდგრადი განვითარების საბჭოს შესახებ, 63%-მა სწორად დაასახელა მთავრობის ადმინისტრაცია, როგორც უწყება, რომელიც ახორციელებს მდგრადი განვითარების მიზნების კოორდინაციას, თუმცა მხოლოდ 5% აცხადებს,


რომ ისინი მონაწილეობას იღებენ საბჭოს მუშაობაში (ძირითადად თბილისში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები). ასევე აღსანიშნავია, რესპოდენტების ნახევარზე მეტი თვლის, რომ საქართველოს მთავრობა მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგს აწარმოებს, და ანგარიშვალდებულია გაეროს წინაშე. მათი სამი მეოთხედი კი მიიჩნევს, რომ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება საქართველოსთვის სავალდებულოა. ხოლო რაც შეეხება SDG-ის განხორციელების დაფინანსებას, 6%-ს მიაჩნია რომ სახსრები სახელმწიფოს მხრიდან მომდინარეობს, 5% თვლის, რომ დაფინანსებას დონორული ფონდები უზრუნველყოფენ, ხოლო დარჩენილი 89% თვლის, რომ ეს აქტივობები ორივე წყაროდან შეიძლება ფინანსდებოდეს.


კითხვარი ასევე მოიცავდა შეკითხვას მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დასაწერად საჭირო ფინანსური რესურსების შესახებ. რესპოდენტების 15.6%-ის აზრით მუნიციპალიტეტებს SDG-ების დასაწერად დამატებითი რესურსები ესაჭიროებათ, 8.4% თვლის, რომ ეს საკუთარი რესურსებით უნდა განახორციელონ, ხოლო დანარჩენი 76%-ის აზრით, ორივე შესაძლებლობა მართებულია.

გამოკითხულთა 98%-ს მიაჩნია, რომ სტატისტიკური ინფორმაცია საჭიროა იმისთვის, რომ საქართველომ გაზომოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მაჩვენებელი. ამავე რაოდენობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ მუნიციპალიტეტები ჩართული უნდა იყვნენ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში. რესპოდენტები აღნიშნულ შემდეგნაირად ასაბუთებენ:

 „მიზნების მისაღწევად კონკრეტულ ადგილებსა და ჰეგიონებში ადგილობრივმა გადაწყვეტილების მიმღებმა პიხებმა აქტიუხად უნდა ითანამშრომლონ გაეხოს მიეხ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, ხათა მოხეხხდეს ქვემოდან ზემოთ გადაწყვეტილებების მიღება და მაქსიმალუხად იქნეს ინფოხმაცია მიწოდებული ზემდგომ ოხგანოებთან ადგილობრივ საჭიხოებებზე.“

 „მუნიციპალიტეტების ჩახოულობა გამოიწვევს ადგილზე შესაძლებლობების გაძღიეხებას და კომპეტენციების დაგხოვებას, მმახოველობის დეკონცენტრაცია ცენტრიდან მუნიციპალიტეტებამდე უზხოუნველყოფს საჭიხოებებზე მოქნილად და სწიხაფად ჰეაგიეხებას. თუმცა საჭიხოა მუნიციპალიტეტების წახომამდგენლების ცნობიეხება ამალდდეს, მოხდეს მათი გადამზადება, ხომ საკუთაი საქმიანობა მიზნების პიხზმაში დაინახონ“

 „მდგხადი განვითაეხების 17 მიზნიდან აიის საკითხები, ხომელთა შესიხუდებაშიც მუნიციპალიტეტის ხოლი, ხოგოხც ადგილობრივი თვითმმახოველობის აიის ძალიან დიდი, მაგ. სუფთა წყადი და სანიტაიია, ეს აიის ის მიზანი ხომლის განხოხციელებაც მუნიციპალიტეტის ჩახოულობის გაეხეშე ვეი შესიხუდება.“

 “ადგილობრივი პოლიტიკის დონეზე ამ მიზნების განხოხციელების გაეხეშე ნაციონალუი და გლობალუი მიზნების მიღწევა შეუძლებელი იქნება.“



“მმახთველობის მეოხე დონე პიაქტიკუდად განახოციელებს სახედმწიფო სეხვისების ყვე-
ლაზე დიდ წიღს, ხომელიც პიხდაპიხ აისახება მოსახლეობის ცხოვების ხაისისხზე.”

კითხვაზე თუ რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს ჩვენი ქვეყნისთვის, რესპოდენტები ყურადღებას ძირითადად ეკონომიკურ განვითარებაზე და სამუშაო ადგილების შექმნაზე ამახვილებენ. მონაწილეები აღნიშნულ კითხვას შემდეგ-
ნაირად პასუხობენ:



“მდგადი განვითარების მიზნები მოიცავს ისეთ საკითხებს, ხოგოხებიცაა: ცხოვების
დონის ხაისისხის ზიდას, სილაიბისა და შიმშილის აღმოფხვხა, კლიმატის და ბუნებიივი
ხესუსების დაცვა და ა.შ. ხაც დღევანდელბობაში ახსებული პიობდემების სათავეა, ვფიქრობ
ამ პიობდემების აღმოფხვხა ან შემციხება/შემსუბუქება დედამიწის მოსახლეობასა და
ეკოსისტემაში/ბუნებაში ახსებული პიობდემების გადაქის შესადებდობას მოგვცემს.”



“ეკონომიკური განვითარება, გახემოს დაცვა, სილაიბის დადევა და სხვა.”



“სისტემური მიდგომის ჩამოყადიბება, ეხოვნური და ხეგიონადური სოციალური და ჯანდაცვის
სისტემის გადრიეხება. სილაიბის, უთანასწორობის და უმუშევრობის აღმოფხვხა.”



“პიივედ ხიგში, სილაიბის და შიმშილობის აღმოფხვხის, შემდგომ ჯანდაცვისა და განათ-
ლების სისტემის გაუმჯობესებას, გახემოს დაცვას, გენდერი თანასწორობის მიღწევასა
და ანგაიიშვადებულებას, ეფექტიან და ინკლუზიუხ სახედმწიფო ინსტიტუტის მშენებდობა
- ეს მოკლედ, ხაც შეიძლება მოუტანოს ჩვენს ქვეყანას თუ სახედმწიფო განახოციელებს
დასახუდ მიზნებს.”



“ხედს შეუწყობს ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური კეთიდლეობის, ცხოვების ხა-
ისისხის გაუმჯობესებას, სილაიბის დადევას, განათების ხაისისხის გაუმჯობესებას, გან-
ვითარებული ქვეყნის სტატუსის მოპოვებას, აგიეთვე მშვიდობასა და უსაფხთხოებას”



“ქვეყნის ჰოდისტუხი განვითარება, ეკონომიკუხად სიცოცხდისუნაიიანი, გახემოსადმი
დამზოგი და სამაიხთიანი საზოგადოების შექმნა. მიზნები სწოხი რიიენტიიება, მონა-
ცემების შეგოვება ანადიზი და მოქნილი გადაწყვეტილებების მიღების ეფექტუხი მექა-
ნიზმის შემუშავება და დანეიგვა, ადამიანების ცნობიეხების ამაღლება”

ასევე აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით ტრენინგი არ გაუვლია გამოკითხულთა სამ მეოთხედს, თუმცა მათგან 97% ამგვარ ტრენინგში მონა-
წილეობის და SDG-ების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების სურვილს გამოთქვამს. რეს-
პოდენტთა ამავე რაოდენობამ გამოთქვა სურვილი მდგრადი განვითარების მიზნებთან
დაკავშირებით ითანამშრომლონ ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან (მერია, საკრე-
ბულო, არასამთავრობო სექტორი, მედია, ბიზნესი, აკადემია და სხვა).



ძირითადი ბაზონვევები და სავირრრრრრები



გამონვევები საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე



ნაციონალიზებულ მატრიცაში მხოლოდ 4 მიზნის ფარგლებშია ნახსენები ადგილობრივი ხელისუფლება. განსაზღვრული 93 ამოცანიდან თითოეულს მისადაგებული აქვს წამყვანი უწყება, თუმცა ადგილობრივი მმართველობის ორგანო არც ერთი ამოცანის შემთხვევაში არ არის დასახელებული. სამუშაო ჯგუფების შემადგენლობის სრულ ჩამონათვალში წარმოდგენილია სახელმძღვანელო წესში ნახსენები ყველა სხვა აქტორი, ამ ეტაპისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის გარდა. აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების გეგმით გათვალისწინებულია აღნიშნულ ჩამონათვალში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების დამატება, რაც მოხდება მათი ჩართულობის შემუშავებული მექანიზმების გათვალისწინებით. ამდენად, მნიშვნელოვანია თემატურ სამუშაო ჯგუფებთან ერთად განისაზღვროს ჩართული უწყებების/ორგანიზაციების როლები და პასუხისმგებლობები. შემუშავდეს SDG-ების საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების სამოქმედო გეგმები, სადაც წარმოდგენილი იქნება მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში განსახორციელებელი ღონისძიებები, ვადები და საჭირო რესურსები. მდგრადი განვითარების მიზნების უნივერსალური და ინკლუზიური ბუნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მათი განხორციელების პროცესში ჩართული იყოს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლება. აღნიშნული რეკომენდაცია ფიგურირებდა 2019 წლის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშშიც.



მნიშვნელოვანია განისაზღვროს მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინების ეფექტური მექანიზმები მუნიციპალიტეტის მიერ ცალკეული პოლიტიკების, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების, პრიორიტეტების დოკუმენტების ჩამოყალიბებისა თუ ბიუჯეტის მიღების პროცედურებში, რა დროსაც მოხდება ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებისა და გამოცდილების გათვალისწინება. ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებასთან ერთად, მუნიციპალიტეტებმა უნდა გაითვალისწინონ ნაციონალიზებული მიზნები და მათ მიღწევაში მათი შესაძლო წვლილი.



მერს გააჩნია უფლებამოსილება ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად, შექმნას საბჭოები, კომისიები და სამუშაო ჯგუფები. თუმცა, მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამ ეტაპზე არც ერთი მუნიციპალიტეტის ფარგლებში არ არის შექმნილი მდგრადი განვითარების ადგილობრივი საბჭო ან რაიმე ანალოგიური სათათბირო ორგანო. გარდა ამისა, მართალია უკვე არსებული საბჭოების, კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობა უკავშირდება მდგრადი განვითარების ცალკეულ მიზნებს, მაგრამ არ ხდება ნაციონალიზებული მიზნების გათვალისწინება.



2019 წელს ჩატარებული აუდიტის ანგარიშის თანახმად, SDG-ების მატრიცას არ ჰქონდა ფორმალური სახე და მასში განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები

მხოლოდ ფრაგმენტულად იყო ინტეგრირებული 2019-2022 წლების ქვეყნის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებში (BDD), სტრატეგიულ დოკუმენტებში, სამინისტროების 2019-2022 წლების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში და მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტებში. მიუხედავად იმისა რომ, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში გამოცემული BDD დოკუმენტებში პირდაპირ არის ნახსენები მდგრადი განვითარების რამდენიმე მიზანი, მათი გათვალისწინება კვლავ ფრაგმენტულია, ხოლო მუნიციპალურ პრიორიტეტების დოკუმენტებში დღემდე არ გვხვდება (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების შედეგად მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით). შესაბამისად, მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინება მოხვდეს პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების მეთოდოლოგიაში. აღნიშნული გამოწვევების გადასაჭრელად მთავრობას შეუძლია იხელმძღვანელოს GIZ-ის მხარდაჭერით შემუშავებული მდგრადი განვითარების მიზნების ბიუჯეტში ასახვის მეთოდოლოგიითა და პრაქტიკული სახელმძღვანელოთი.



მუნიციპალიტეტებში დაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილებზე პასუხებიდან ირკვევა, რომ მათ უმრავლესობას არ მიუღიათ ოფიციალური წერილი მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოდან და შესაბამისად, მონაწილეობას არ იღებენ მის მუშაობაში. ასევე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტები ამ ეტაპზე მდგრადი განვითარების მიზნებს არ იყენებენ სტრატეგიების, საშუალო ვადიანი გეგმებისა და ბიუჯეტის შემუშავების პროცესში, და ადგილობრივ დონეზე არ არის დანერგილი სამოქმედო გეგმების და სტრატეგიების შესრულების მონიტორინგის და შეფასების სისტემები.





IDFI-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილე მუნიციპალურ საჯარო მოხელეთა თითქმის ნახევარს არ სმენია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, ხოლო 80% აცხადებს, რომ მათ ამ თემატიკაზე არასდროს გაუვლიათ ტრენინგი. აღნიშნული მიუთითებს ცნობიერების ამაღლების აქტივობების ჩატარების აუცილებლობაზე, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ მონაწილეთა სრული უმრავლესობა დაინტერესებულია ამგვარი ინიციატივით და გამოხატავს მზადყოფნას.


მთავარი საჭიროებები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირებით



ადგილობრივ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების პროცესში ძირითადი როლი თავად მუნიციპალიტეტებს ეკისრებათ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **მერის, მისი მოადგილეების და სხვა გადაწყვეტილების მიმღები პირების** ჩართულობა, ვინაიდან ფინანსთა მინისტრის № 385 ბრძანებაში მოცემული მეთოდოლოგიის თანახმად, სწორედ მერი აყალიბებს **მუნიციპალური საბიუჯეტო პროცესის ხელმძღვანელ სამუშაო ჯგუფს**. ხოლო **რიგითი თანამშრომლებისთვის** მიზანშეწონილია ცნობიერების ამაღლების აქტივობების ჩატარება.

 ადგილობრივ დონეზე მიზნების ლოკალიზების დროს, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებმა **უზრუნველყონ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პროცესში მონაწილეობა** - როგორც ახალი სამუშაო ჯგუფების თუ საკონსულტაციო მექანიზმების შექმნით, ასევე, უკვე არსებული ჯგუფების საქმიანობის მიმართულებებში მდგრადი განვითარების მიზნების საკითხების შეტანით.

 SDG ლოკალიზების პროცესში ასევე მნიშვნელოვანია **საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის** ჩართულობა, ორგანიზაცია რომელიც აერთიანებს საქართველოს ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს. ასოციაციის მიზანია, ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება, სახელმწიფო ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციების განვითარება. ამ და სხვა **ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებთან** ერთად კონსულტაციების გავლა, დამატებითი ინფორმაცია და ანალიზი უზრუნველყოფს ლოკალიზების პროცესის უფრო სრულყოფილ და ყოვლისმომცველ მიმდინარეობს.

 დაბოლოს, მუნიციპალიტეტმა უნდა იზრუნოს მდგრადი განვითარების მიზნების დაწინაურებასა და მონიტორინგის პროცესში **ადგილობრივი მოსახლეობის** ჩართულობაზე და მათი ცნობიერების ამაღლებაზე, ვინაიდან არჩეული პოლიტიკური თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე წარმოადგენს ძლიერ დემოკრატიულ მექანიზმს ადგილობრივ დონეზე SDG-ების დაწინაურების მისაღწევად.



ზომარი ჩვმბენდუნბი





მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დოკუმენტში მოცემული ინდიკატორები უნდა ჩაიშალოს ტერიტორიულ დონეზე. მისასაღებელია, რომ აღნიშნულის განხორციელება გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების გეგმითაც. ამის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შესაძლებლობები და მონაცემები საკმაოდ ძლიერია რეგიონულ და მუნიციპალურ ქრისტილში, აუცილებელია არსებული სტატისტიკის ანალიზი და მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების დისეგრეგირება მუნიციპალიტეტების დონეზე. ამისთვის საჭირო იქნება ცალკე დოკუმენტის შექმნა ცენტრალური მთავრობის, რაც გეოგრაფიული რუკის მიხედვით საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ და გადაწყვეტილების მიმღებ პირს, იხილოს და გაანალიზოს საბაზისო და სამიზნე მონაცემები ყველა მხარის/მუნიციპალიტეტის ქრისტილში. მაგალითისთვის: თუკი ცენტრალური დოკუმენტის მიზანი 1 მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს მთელი ქვეყნის მასშტაბით: „უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა: 2015 წელი - 3.8%“, სამხარეო დონეზე ჩაშლილი დოკუმენტი უნდა იძლეოდეს ინფორმაციას აღნიშნული ინდიკატორის ჩაშლილ მონაცემებზე (მაგ. სიღარიბის მაჩვენებელი 2015 - გურია, კახეთი, რაჭა და ა.შ). აღნიშნული რეკომენდაციის ადრესატია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების კოორდინაციაზე და რეკომენდაციით შემოთავაზებული რეგიონული დოკუმენტის შექმნაზე.



მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ საბჭოში უნდა გააქტიურდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ჩართულობა, როგორც გადაწყვეტილების მიმღებ (საბჭო), ისე სამუშაო დონეზე (საბჭოს სამუშაო ჯგუფები). მისასაღებელია, რომ აღნიშნულის განხორციელება გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების გეგმითაც. ამისთვის საჭირო იქნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულება და მუნიციპალიტეტების ჩართვის ეფექტური უზრუნველყოფა ცენტრალური მთავრობის მდგრადი განვითარების მიზნების პლატფორმებში. ეფექტური უზრუნველყოფა შესაძლებელია გამოიხატოს მათი შეხვედრებზე მოწვევით და მონაწილეობით, მათთან SDG-თან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის და სიახლის გაზიარებით, მუნიციპალიტეტებს შორის SDG ინფორმაციის მიმოცვლის საერთო პლატფორმის შეთავაზების, მუნიციპალური SDG ცნობიერების ამაღლების კამპანიების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობის გზით.



მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების განვითარების მხარდაჭერა, როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ-ადმინისტრაციულ დონეზე. ვინაიდან სტატისტიკური ინფორმაცია წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მონიტორინგისა და შეფასების მთავარ წყაროს, აუცილებელია მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების გაძლიერება და ამისთვის დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყოფა. ამავდროულად, საჭიროა განსაკუთრებით ნაციონალიზე-

ბული მდგრადი განვითარების მიზნების ჭრილში, ადგილობრივ დონეზე სტატისტიკის წარმოების საერთო სახელმძღვანელო პრინციპებისა და სტანდარტების მიღება, რაშიც მნიშვნელოვანია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ორგანოების საჯარო მოხელეების გადამზადება სტატისტიკის წარმოების მიმართულებით, განსაკუთრებით კი მუნიციპალიტეტებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპებისა და სტანდარტების მიხედვით. ეს ყოველივე ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის რეფორმის ფარგლებში. ამისთვის ცენტრალურ დონეზე საჭირო იქნება სტატისტიკური წარმოების კუთხით იმ მხარეებისა და მუნიციპალიტეტების იდენტიფიცირება, სადაც მონაცემების შეგროვება ან არ ხდება ან მოპოვებული მონაცემების ხარისხი და რაოდენობა ძალიან დაბალია.



აუცილებელია მუნიციპალიტეტის მიერ საბიუჯეტო პროცესის დროს მომზადებული საბიუჯეტო დოკუმენტაციის სტრუქტურის და შინაარსის გათვალისწინებით, მდგრადი განვითარების მიზნებთან მუნიციპალიტეტების პროგრამების და ქვეპროგრამების კავშირები აისახოს პრიორიტეტების დოკუმენტში და პროგრამულ ბიუჯეტში, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებს დათვალონ თითოეული მიზნის განხორციელების ბიუჯეტი. დეფიციტის არსებობის დადგენის შემთხვევაში, დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება დაიწყონ როგორც კერძო, ისე საერთაშორისო სექტორის ჩართულობით. აღნიშნული პროცესი უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ღიად, ინკლუზიურობის პრინციპის მაქსიმალური დაცვით. ეს დამატებით მისცემთ შესაძლებლობას, განსაზღვრონ თუ რა ღირს 1 მუნიციპალიტეტის მიერ 1 მიზნის მიღწევა.



მნიშვნელოვანია, მუნიციპალური პოლიტიკის წარმოების პროცესში მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციის ზრდა. ვინაიდან მიზნების განხორციელება არ არის პარალელური პროცესი და არ გამოეყოფა ქვეყნის შიდა პოლიტიკის წარმოებას, აუცილებელია მუნიციპალურ დონეზე შესამუშავებელი ცალკეული პოლიტიკის დოკუმენტების: სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების, კონცეფციებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის და შექმნის პროცესში მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაცია. აღნიშნული გულისხმობს შემდეგს: ყველა პრიორიტეტი და გეგმა შეესაბამება მდგრადი განვითარების მიზნებსა და ამოცანებს, და პირდაპირ თუ ირიბად ეხმარება მათ განხორციელებას, ხოლო ხსენებული კავშირისა და შესაბამისობის გადამოწმება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის პოლიტიკის ყველა შესაბამის დოკუმენტში.



რეკომენდირებულია მერიების დონეზე ჩამოყალიბდეს მდგრადი განვითარების მიზნების სათათბირო ორგანოები, რომლებიც დაკომპლექტდება საჯარო, კერძო, საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებით. აღნიშნული სათათბირო ორგანოების ფუნქცია იქნება მუნიციპალური პოლიტიკისა და მდგრადი განვითარების შესაბამისობის დადგენა და მიზნების განხორ-

ციელების ზედამხედველობა. ორგანოები მჭიდრო თანამშრომლობით უნდა გამოირჩეოდნენ ეროვნულ დონეზე არსებულ საბჭოსთან. **საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აქტიურობა და ჩართულობა აღნიშნული სათათბირო ორგანოებისა და უწყებათაშორისი საბჭოს ურთიერთთანამშრომლობის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია.**



რეკომენდირებულია საკრებულოების დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების საზედამხედველო საბჭოების შექმნა, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება მერიის მიერ მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის განხორციელების მონიტორინგი, ამ პროცესში გამოწვევების იდენტიფიცირება და საპასუხო საკანონმდებლო თუ სხვა ტიპის ინიციატივების დაყენება. აღნიშნული მოდელი გაზრდის მიზნების განხორციელების მუნიციპალური ძალისხმევის ღიაობას და მეტად გამჭვირვალეს გახდის პროცესს.



ადგილობრივი საჯარო და სამოქალაქო სექტორის ცნობიერების ამაღლება რეგულარული ტრენინგებისა და საინფორმაციო კამპანიების გზით. მისასალმებელია, რომ აღნიშნულის განხორციელება გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების გეგმითაც. სასურველია რომ თემატური მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლებამ მიიღოს ადგილობრივი კამპანიური ხასიათი და იგი ეფუძნებოდეს მუნიციპალურ საჭიროებებს. მაგალითად, მუნიციპალიტეტში, სადაც პრობლემად იკვეთება სუფთა სასმელი წყალი, მნიშვნელოვანია თემატურად მდგრადი განვითარების შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ ინფორმაციის გავრცელება - რას გვთავაზობს საერთაშორისო სტანდარტი? რას გვეუბნება მდგრადი განვითარების მიზნები აღნიშნულ პრობლემაზე? როგორია ადგილობრივი მთავრობის მიერ პრობლემის გადაჭრის გეგმა 2030 წლისთვის? ვინ არის პასუხისმგებელი პრობლემის მოგვარებაზე?



გარდა ამისა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია თვითმმართველობაში დასაქმებული საჯარო მოხელეების, განსაკუთრებით კი გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გადამზადება და მათი მხარდაჭერა მდგრადი განვითარების მნიშვნელობის გააზრებაში. მისასალმებელია, რომ აღნიშნულის განხორციელება გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების გეგმითაც. მიზნების სიღრმისეული და შინაარსობრივი ცოდნა ადგილობრივ სახელმწიფო მოხელეების მიერ საკითხის მიმართ ყურადღების გამახვილების, პოლიტიკურ დღის წესრიგში ჩასმის და მნიშვნელობის მინიჭების ბუნებრივი და შეუცვლელი ბერკეტია. ამას გარდა, პროექტის ფარგლებში ჩატარებული მოკვლევის თანახმად, მოხელეთა უმრავლესობას აქვს სურვილი ჩაერთოს მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებში.



ჩემი გეგმა მეტი სწავლისთვის



კვლევის საფუძველზე შემუშავებულ ზოგად რეკომენდაციებთან ერთად, დამატებით შემუშავდა რეკომენდაციები მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებიც კვლევის სამიზნე 4 მუნიციპალიტეტის ანალიზის შედეგებს ეყრდნობა. შესაბამისად, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ღონისძიება, რომლებიც მუნიციპალიტეტებს ადგილობრივ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტურ ლოკალიზებაში დაეხმარებათ:

! უნდა გაანალიზდეს აღნიშნული მუნიციპალიტეტების ადგილობრივი პრობლემები და საჭიროებები, რომელთა საფუძველზე, მუნიციპალიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა ადაპტირდეს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი (SDG მატრიცა).

მაგალითი:

მეგობრივი განვითარების მიზნების მუნიციპალური ღონისძიებები (ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებები)						
საქართველოს მისაღებად	საქართველოს მისაღებად/ მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივი	საქართველოს მისაღებად/ მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივი	მუნიციპალური ინდიკატორის საბაზისი მაჩვენებელი	მუნიციპალური ინდიკატორის საზოგადოებრივი მაჩვენებელი	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი ადგილობრივი ანგარიში
მიზანი 1. სიღარიბის ყველა წევრის აღმოფხვრა						
1.1 2030 წლისთვის საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა; უკიდურესი სიღარიბე ამჟამად იზომება იმ ადამიანების მიხედვით, რომლებიც ცხოვრობენ დღეში 1.9 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით	1.1.1: სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს (1.9 აშშ დოლარი დღეში) ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა: 2015 წელი - 4%	1.1.1 უკიდურესი სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა: 2015 წელი - 4%	1.1.1.1. უკიდურესი სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა: 2021 წელი - 6% (პირობითი)	1.1.1.1 უკიდურესი სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა: 2030 წელი - 2% (პირობითი)	საქსტატი *შენიშვნა - სიღარიბის შესახებ მონაცემებს საქსტატი აგროვებს როგორც რეგიონულ დონეზე (თუმცა ეს უკანასკნელი გამოქვეყნებული არ არის და მოთხოვნისამებრ ხელმისაწვდომი ხდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ).	გთხოვთ მიუთითოთ შესაბამისი მუნიციპალიტეტი

საქართველოს მისარგებელი ამოსანა	საქართველოს მისარგებელი/ ქარვანი ინდიკატორი და სამიზნე მაჩვენებელი	საქართველოს მისარგებელი/ ქარვანი ინდიკატორი და საბაზისო მაჩვენებელი	მუნიციპალიტეტის ინდიკატორი საბაზისო მაჩვენებელი	მუნიციპალიტეტის ინდიკატორი სამიზნე მაჩვენებელი	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი პირის/სამსახურის დასახელება
---------------------------------	--	---	---	--	-----------------	--

მიზანი 4: ინვესტიციური და მენეჯერული განათმეარის უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველაში

4.ა ბავშვებზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ორიენტირებული და გენდერულად მგრძობიარე სასწავლო დაწესებულებების მშენებლობა და განახლება. ყველა სათვის უსაფრთხო, არაძალადობრივი, ინკლუზიური და ეფექტიანი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა	4.ა.1.1. იმ სკოლების პროპორციული ოდენობა, სადაც გათბობისა და საკვების მომზადებისთვის ძირითად წყაროდ იყენებენ ნახშირს, შუშას და/ან ნაკვალს სამიზნე: არ აღემატებოდეს 30%-ს"	4.ა.1.1 საჯარო სკოლების 38.5%-ს აქვს გათბობის ცენტრალური სისტემა. დანარჩენი სკოლები გათბობის ძირითად წყაროდ იყენებენ ნახშირს და შუშას.	4.ა.1.1.1 მუნიციპალური დონეზე საჯარო სკოლების 40%-ს (პირობითი) აქვს გათბობის ცენტრალური სისტემა. დანარჩენი სკოლები გათბობის ძირითად წყაროდ იყენებენ ნახშირს და შუშას.	4.ა.1.1.1 მუნიციპალური დონეზე საჯარო სკოლების 60%-ს (პირობითი) აქვს გათბობის ცენტრალური სისტემა. დანარჩენი სკოლები გათბობის ძირითად წყაროდ იყენებენ ნახშირს და შუშას.	საქართველოს განათლების, მეცნიერების სამინისტრო; მუნიციპალიტეტი	გთხოვთ მიუთითოთ შესაბამისი მუნიციპალიტეტი
--	---	--	---	---	--	---

საქართველოს მისარგებელი ამოსანა	საქართველოს მისარგებელი/ ქარვანი ინდიკატორი და სამიზნე მაჩვენებელი	საქართველოს მისარგებელი/ ქარვანი ინდიკატორი და საბაზისო მაჩვენებელი	მუნიციპალიტეტის ინდიკატორი საბაზისო მაჩვენებელი	მუნიციპალიტეტის ინდიკატორი სამიზნე მაჩვენებელი	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი პირის/სამსახურის დასახელება
---------------------------------	--	---	---	--	-----------------	--

მიზანი 5: მენეჯერული მენეჯერული მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობის განვითარება

5.5.1 პარლამენტში და ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა	5.5.1 პარლამენტში და ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა	5.5.1. 2016 წელი: ა. ეროვნულ პარლამენტში ქალთა პროპორციული რაოდენობა: 16% ბ. ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა: 11.6%	5.5.1.1 მუნიციპალური დონეზე საკრებულოში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა 2021 წელი: 10% (პირობითი)	5.5.1.1 მუნიციპალური დონეზე საკრებულოში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა 2030 წელი: 40% (პირობითი)	საქართველოს საარჩევნო კომისია; მუნიციპალიტეტი	გთხოვთ მიუთითოთ შესაბამისი მუნიციპალიტეტი
	5.5.2 ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული რაოდენობა	5.5.2. 2017 წელი: ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული რაოდენობა 32.0%	5.5.2.1 მუნიციპალური დონეზე საკრებულოსა და მერიაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული რაოდენობა 2021 წელი: 20% (პირობითი)	5.5.2.1 მუნიციპალური დონეზე საკრებულოსა და მერიაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული რაოდენობა 2030 წელი: 50% (პირობითი)		

საქართველოსთვის მისაღებავალი ამოცანა	საქართველოსთვის მისაღებავალი/ ეკონომიკური ინდიკატორი და სამიზნე მაჩვენებელი	საქართველოსთვის მისაღებავალი/ ეკონომიკური ინდიკატორი და სამიზნე მაჩვენებელი	მუნიციპალური ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	მუნიციპალური ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელი	მონაცემთა წყარო	კასუნიზაციის აღმინდობის ეკონომიკური მაჩვენებელი
მიზანი 8: სოციალური, ინფრასტრუქტურული და მხარდაჭერის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, სწრაფი და კომუნიკაციების დასაქმება და ლიცენზიის საფუძვლად ყველაფერს						
8.5.2: უმუშევრობის დონის მაჩვენებელი, სქესის, ასაკისა და შებენი შესაძლებლობების მქონე პირების მიხედვით	8.5.2: უმუშევრობის დონის მაჩვენებელი, სქესის, ასაკისა და შებენი შესაძლებლობების მქონე პირების მიხედვით 2015 წელი - 12.4%	8.5.2 უმუშევრობის მაჩვენებელი სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მიზანი: 9.5%	8.5.2.2 უმუშევრობის მაჩვენებელი მუნიციპალური ლიტეტის დონეზე 2021 წელი - 19% (პირობითი)	8.5.2.2 უმუშევრობის მაჩვენებელი მუნიციპალური ლიტეტის დონეზე 2030 წელი - 12% (პირობითი)	საქსტატი *შენიშვნა - უმუშევრობა/ დასაქმების შესახებ მონაცემებს საქსტატი აგროვეს როგორც რეგიონული ინფორმაციის დონეზე (თუმცა ეს უკანასკნელი გამოქვეყნებული არ არის და მოთხოვნისამებრ ხელმისაწვდომი ხდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ).	გთხოვთ მიუთითეთ შესაბამისი მუნიციპალიტეტი

- ❗ მიზნებისა და ამოცანების შერჩევა მუნიციპალიტეტის დისკრეციას და უნდა მოხდეს ადგილობრივ დონეზე არსებული გამოწვევების შესაბამისად. აღნიშნულ პროცესში რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტის მიერ შეირჩეს ეროვნულ დოკუმენტში არსებული ამოცანების სრული რაოდენობის მინიმუმ 10%. მიზნებისა და ამოცანების შერჩევის მიზნით, აუცილებელია მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოხდეს მუნიციპალური სოციალურ-ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, ინსტიტუციური და გენდერული შეფასება, რადგან მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების პრიორიტეტიზაცია ეფუძნებოდა მტკიცებულებებს და გამყარებული იყოს ობიექტური მოკვლევის შედეგებით.
- ❗ მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული და ადაპტირებული მიზნების/ამოცანების/ინდიკატორების ინტეგრირება უნდა მოხდეს მუნიციპალურ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში, ვინაიდან დადგენილი სამიზნე ინდიკატორების გათვალისწინებულ იქნას მუნიციპალური თემატური დაგეგმვის პროცესში. მაგალითად: სიღარიბისა და უმუშევრობის ინდიკატორების გათვალისწინება და გააზრება, მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის უზრუნველყოფის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში; სკოლის ინფრასტრუქტურული ინდიკატორების გათვალისწინება მუნიციპალური საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პოლიტიკასა და გეგმაში; ნარჩენების მართვის ინდიკატორების გათვალისწინება მუნიციპალური გარემოსდაცვითი პოლიტიკის პრიორიტეტებში და ა.შ. ამის მსგავსად, უნდა მოხდეს ეროვნული

მიზნების დაკავშირება მუნიციპალიტეტების მიერ უკვე მიღებულ სტრატეგიებთან, მათ სამოქმედო გეგმებთან და შედეგების ინდიკატორებთან, განსაკუთრებით, აღნიშნული დოკუმენტების გადახედვისა და მათი შესრულების მონიტორინგის / შეფასების დროს.

- ❗ აუცილებელია მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალურ ადაპტირებულ დოკუმენტში განერილი იყოს თუ რომელი ადმინისტრაციული ორგანოა პასუხისმგებელი ამა თუ იმ ამოცანის შესრულებაზე.
- ❗ მუნიციპალიტეტის მიერ უნდა შემუშავდეს აღნიშნული დოკუმენტის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც დასაწყისში შეიძლება იყოს მხოლოდ მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულება უზრუნველყოფს მიზნების და ამოცანების მიღწევის მონიტორინგს და შეფასებას შედეგებს რეალურ დროში. სამომავლოდ უმჯობესია გაკეთდეს მონიტორინგის ელექტრონული პროგრამა (ე.წ. „სოფტი“): ელექტრონული მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების ავტომატურ გენერირებას, ხოლო ელექტრონული სისტემის უნივერსალური ბაზა კი საშუალებას მისცემს სხვა მუნიციპალიტეტებსაც ჩაერთონ და იმუშავონ აღნიშნული პროგრამის მეშვეობით. ამავდროულად, მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამის ინტეგრირება ან/და დაკავშირება მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის ეროვნულ პლატფორმასთან, რაც გაამარტივებს მუნიციპალურ დონეზე მიღწეული შედეგების ასახვას ეროვნულ ანგარიშში.
- ❗ სასურველია მიზნების მონიტორინგისა და შეფასების საკითხზე პასუხისმგებელ საჯარო დაწესებულებად დასახელდეს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.
- ❗ ცალკეული მუნიციპალიტეტის მერია ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე და ახდენს აღნიშნული დოკუმენტის შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების სისტემური მონიტორინგის შედეგების შესახებ ანგარიშგებას. ხოლო, საკრებულოს რეკომენდაციები სავალდებულოა მერიისთვის გასათვალისწინებლად.
- ❗ სასურველია მერია მიზნების/ამოცანების/ინდიკატორების პრიორიტეტიზაციის და განხორციელების პროცესში რთავდეს ადგილობრივ თემატურ სამოქალაქო საზოგადოებას, აკადემიურ წრეებს და კერძო სექტორს შესაბამისი თემატური საბჭოს პლატფორმის ფარგლებში.
- ❗ მუნიციპალური პრიორიტეტების, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციის მიზნით, აუცილებელია ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნას ყველა ის ინდიკატორი, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას გამოძახებს. მიზნის მიღწევას - განხორციელების პროცესს ჭირდება შესაბამისი ფინანსური რესურსი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის შედგენის დროს. აღნიშნულ პროცესში მუნიციპალიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს „მუნიციპალიტეტების მიერ მდგრადი

განვითარების მიზნების ბიუჯეტში ასახვის მეთოდოლოგიით“. ფინანსური დანაკლისის შემთხვევაში, აუცილებელია მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობდეს საერთაშორისო დონორული ფონდების მოსაძიებლად.

! მუნიციპალიტეტი აქტიურად უნდა ჩაერთოს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული საბჭოს მუშაობაში, დაესწროს სხდომებსა და სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს, გაუზიაროს მათ მუნიციპალურ დონეზე განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია და მდგრადი განვითარების ჩარჩოს ფარგლებში გააჟღეროს მუნიციპალური საჭიროებები და საპასუხო სამოქმედო გეგმები. აღნიშნული პროცესი ბუნებრივად აჩენს ჯანსაღი კონკურენციის საფუძველებს მუნიციპალიტეტებს შორის და ახდენს მუნიციპალური სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის გააქტიურებასა და ჩართვას მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში. ვინაიდან მიზნების განხორციელება არ არის მხოლოდ ხელისუფლების პასუხისმგებლობა, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მენარმეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, პროცესი გახდეს უფრო აქტიური, ქმედითი და შედეგზე ორიენტირებული SDG მთავარი პრინციპის დაცვით: „არავინ დარჩეს მიღმა“, რაც ხელს უწყობს მიზნების განხორციელების პროცესში მუნიციპალურ დონეზე მოწყვლადი მოსახლეობის შესახებ შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას, ანალიზს და აღნიშნულის გათვალისწინებას მუნიციპალურ სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა და გაფართოების პროცესში.



ქანკანო





დანართი I.







შერჩეული/საკვილოტე მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ანალიზის ფარგლებში IDFI შეეცადა შეესწავლა, რა წინაპირობები არსებობს მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზებისთვის ოთხ სამიზნე/საკვილოტე მუნიციპალიტეტში. ამისთვის ინსტიტუტმა შეისწავლა ქედის, სენაკის, საგარეჯოს და ონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში განსაზღვრული პრიორიტეტები და პროგრამები, და განსაზღვრა მათი შესაძლო მისადაგება ნაციონალიზებულ მიზნებთან. ამგვარი ანალიზი მნიშვნელოვანია ლოკალიზების პროცესის ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების კამპანიების დასაგეგმად.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის № 385 ბრძანებაში. საბიუჯეტო პროცესი იწყება ყოველი წლის 1 მარტიდან. მუნიციპალური სამსახურების კოორდინაციის მიზნით, მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ხელმძღვანელობს თავად მერი ან მერის ის მოადგილე, რომელიც კურირებს საბიუჯეტო პროცესს. ჯგუფის შემადგელობაში უნდა შედიოდნენ მერის მოადგილეები, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ყველა სფეროს წამყვანი თანამდებობის პირები. საჭიროების შემთხვევაში, ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენისას კონსულტაციების მიღების მიზნით, კომისიაში შესაძლებელია მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის სპეციალისტიც.

პროცესის ფარგლებში შემუშავდება შემდეგი დოკუმენტები:

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს 6 ძირითად მიმართულებას:

-  01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
-  02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება
-  03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა
-  04 00 განათლება
-  05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
-  06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება ან იგეგმება ისეთი პრიორიტეტის დაფინანსება, რომელიც არ არის წარმოდგენილი პრიორიტეტების ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში, შესაძლებელია ჩამონათვალს, შემდგომი რიგითი კოდით, დაემატოს პრიორიტეტის დასახელება. მაგ: პრიორიტეტის კოდი - 07 00 „ეკონომიკის განვითარების

ხელშეწყობა“. თუმცა, შესწავლილი მუნიციპალიტეტებიდან არც ერთში არ გვხვდება მსგავსი დამატება.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტი

პროგრამა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დასახული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა

პრიორიტეტების დოკუმენტი უფრო გლობალური ხასიათისაა და მასში მოყვანილია ძირითადი პრიორიტეტული სფეროების და პროგრამების დაფინანსება, ხოლო სამოქმედო გეგმა ამავე პერიოდზე პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო კონკრეტული ღონისძიებების აღწერაა.

თითოეული პროგრამისათვის, ქვეპროგრამისათვის და ღონისძიებისთვის მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს შემდეგი ინფორმაცია დასაგეგმი და შემდგომი 3 წლისთვის:

- 👉 პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი;
- 👉 განმახორციელებელი მუნიციპალური სამსახური;
- 👉 მოსალოდნელი საბოლოო და შუალედური შედეგები;
- 👉 შესრულების შეფასების ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი და სამიზნე მაჩვენებლები;
- 👉 დაფინანსების წყარო;
- 👉 ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა არსებული დაფინანსების პირობებში და მთლიანობაში (თუ ღონისძიება დამატებით დაფინანსების შემთხვევაში შესაძლოა სხვაგვარად განვითარდეს);
- 👉 დამატებითი წყაროს არსებობის შემთხვევაში, სამიზნე მაჩვენებლებში ცვლილება.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წლიური ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური მის მიერ შემუშავებული მომავალი წლების საფინანსო რესურსის საპროგნოზო მაჩვენებლებს ინფორმაციის სახით აწვდის სამუშაო ჯგუფს. საფინანსო სამსახური, მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მიერ შედგენილი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მხედველობაში მიღებით, სამუშაო ჯგუფში ასევე წარადგენს საკუთარ პროგნოზს მომავალი წლების გადასახდელების განაწილების შესახებ. სამუშაო ჯგუფი იხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და არსებული რესურსების ფარგლებში, ამზადებს წინადადებებს ასიგნებების ზღვრულ მოცულობების განსაზღვრის შესახებ. ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვრება მომავალი და +3 წლისთვის მერის პრიორიტეტების დოკუმენტით.

გადაწყვეტილებას, თუ რა დონეზე ჩაშლილად იქნება წარმოდგენილი წლიური ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები და ღონისძიებები, იღებს თვითმმართველი ერთეული.

მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართი

წლიური ბიუჯეტის ამ დანართში ინფორმაცია წარმოდგენილია პრიორიტეტების მიხედვით. იგი მოიცავს თითოეული პროგრამის განხორციელებით მისაღებ საბოლოო შედეგს და ამ შედეგის შეფასების ინდიკატორებს. ასევე პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამების/ღონისძიებების განხორციელებით მოსალოდნელ შუალედურ შედეგებს და მათი შეფასების ინდიკატორებს. ამ თავში მოცემული უნდა იყოს ყველა იმ პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა, რომელსაც წლიურ ბიუჯეტის მე-2 თავში მინიჭებული აქვს ცალკე პროგრამული კოდი და დასაგეგმ წელს გამოყოფილი აქვს შესაბამისი ასიგნებები. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 01 00 პროგრამული კოდით მოცემულ მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტი, რომლის პროგრამული კოდების აღწერა არ არის სავალდებულო. ამ დანართში წარმოდგენილი პრიორიტეტების/პროგრამების/ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ატარებს ინფორმაციულ ხასიათს.

პრიორიტეტების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან

მუნიციპალური პრიორიტეტების ძირითადი მიმართულებები ნაწილობრივ ფარავენ მდგრადი განვითარების მიზნებში მოცემულ ამოცანებს. SDG მატრიცაში მოცემული ინდიკატორებისა და მუნიციპალურ პრიორიტეტების დოკუმენტებში განწერილი პროგრამების და ქვე-პროგრამების გათვალისწინებით, 4 ძირითად პრიორიტეტს შეესაბამება მდგრადი განვითარების შემდეგი 9 მიზანი, ხოლო დანარჩენი მიზნების დაკავშირება მხოლოდ ფრაგმენტულად არის შესაძლებელი:

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი	მდგრადი განვითარების მიზანი
02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება	მიზანი 1. არა სიღარიბეს
	მიზანი 6. სუფთა წყალი და სანიტარია
	მიზანი 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
	მიზანი 9. მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
	მიზანი 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება
03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა	მიზანი 13. კლიმატის მდგრადობის მიღწევა
	მიზანი 15. დედამიწის ეკოსისტემები
04 00 განათლება	მიზანი 4. ხარისხიანი განათლება
05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	მიზანი 5. გენდერული თანასწორობა
06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	მიზანი 1. არა სიღარიბეს
	მიზანი 2. არა შიმშილს
	მიზანი 3. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

პროგრამები	სენაკის მუნიციპალიტეტი	ონის მუნიციპალიტეტი	ქედის მუნიციპალიტეტი	საბარკაჯოს მუნიციპალიტეტი
ინფრასტრუქტურის განვითარება	ინფრასტრუქტურის განვითარება გზების რეკონსტრუქცია და მოვლა- შენახვა	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	წყლის სისტემის განვითარება	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	წყლის სისტემების განვითარება
	სოფლის მეურნეობის ღონისძიება	გარე განათება	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	გარე განათება
	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია
	კეთილმოწყობის ღონისძიებები	კეთილმოწყობის ღონისძიებები	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	მ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	
	რეგიონის ფონდის თანადაფინანსება	სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია		
დასუფთავება და გარემოს დაცვა	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანა	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	დასუფთავება და გარემოს დაცვა
	ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა-პატრონობა	მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა, განვითარება		მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა, განვითარება
	უმეტვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები		

განათლება	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	სკოლამდელი განათლება	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება
	საჯარო სკოლების დაფინანსება	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა		სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა
	განათლების ღონისძიებების პროგრამა			სკოლისგარეშე დაწესებულებების ფუნქციონირება
				საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	სპორტის სფეროს განვითარება
	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	კულტურის სფეროს განვითარება
			ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	ახალგაზრდობის მხარდაჭერა
	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა - რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა	საგამომცემლო საქმიანობა
	მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის პროგრამა	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება		
	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა			
	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა			
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	ჯანმრთელობის დაცვა	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	ჯანმრთელობის დაცვა	ჯანმრთელობის დაცვა
	სოციალური დაცვა	სოციალური დაცვა	სოციალური უზრუნველყოფა	სოციალური დაცვა

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტში 3 მუნიციპალიტეტს (სენაკის გარდა) გათვალისწინებული აქვს წყლის სისტემის განვითარების პროგრამა და მისი შესრულების ერთ-ერთ ინდიკატორად იყენებენ უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობას, რაც ემთხვევა SDG 6-ის პირველი ამოცანის საბოლოო ინდიკატორს. ამავე პრიორიტეტის ფარგლებში გვხვდება მუნიციპალიტეტის მიერ სტიქიისგან დაცვის მიზნით განხორციელებული სამუშაოები, რომლის შესრულების ინდიკატორად ითვლება სტიქიისგან დაცული მოსახლეობის რაოდენობა და ათვისებული ახალი ტერიტორიების ფართობი. მიუხედავად განსხვავებული ინდიკატორებისა, აღნიშნული მიმართულება შეესაბამება SDG 1-ის მეხუთე ნაციონალურ ამოცანას (კლიმატთან დაკავშირებული ექსტრემალური შემთხვევების და გარემოსთან დაკავშირებული სტრესებისა და კატასტროფების პროგნოზირების და ადრეული გაფრთხილების უზრუნველყოფა).

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტში ყველა მუნიციპალიტეტს გათვალისწინებული აქვს მუნიციპალური მყარი ნარჩენების შეგროვება/გადამუშავების პროგრამა, შედეგის საბოლოო კი წლის განმავლობაში ნაგავსაყრელზე გატანილი ნარჩენების ოდენობას იყენებენ (კბ.მ). ხოლო SDG 11-ის მეორე ნაციონალიზებული ამოცანის პირველი ინდიკატორი ეხება რეგულარულად შეგროვებული და შესაბამისად გადამუშავებული მყარი ნარჩენების თანაფარდობას წარმოქმნილ მუნიციპალური მყარი ნარჩენების სრულ რაოდენობასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ამოცანა ითვალისწინებს მხოლოდ დიდ ქალაქებს, შესაძლებელია მისი განზოგადება შერჩეულ 4 მუნიციპალიტეტზეც, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული აქტივობა უკვე ხორციელდება და მისი შესრულების საბოლოო მექანიზმიც შემუშავებულია ადგილობრივ დონეზე.

სხვა პრიორიტეტებთან შედარებით, მდგრადი განვითარების მიზნებთან ყველაზე მწირი კავშირი ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტს აქვს. მაგალითად ქედის მუნიციპალიტეტი ამ პრიორიტეტის ფარგლებში ახორციელებს გენდერული თანასწორობის ნახალისების სხვადასხვა ღონისძიებებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც გამოყენებული ინდიკატორები არ ემთხვევა შესაბამისი SDG-ის ნაციონალიზებულ ინდიკატორებს.

მეექვსე პრიორიტეტი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, თითქმის ანალოგიურია ოთხივე მუნიციპალიტეტისთვის. ჯანმრთელობის დაცვის ფარგლებში რიგი პროგრამების შეფასების ინდიკატორები ემთხვევა ან იოლად ადაპტირებადია SDG 3-ის ინდიკატორებთან. მაგალითად, ჯანდაცვის სერვისების ბენეფიციართა ზოგადი რაოდენობა, მედდების და ექიმების რაოდენობა 100 000 სულ მოსახლეზე, უფასო მედიკამენტებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ. სოციალური მომსახურების ნაწილში მოცემული პროგრამები ფრაგმენტულად შეესაბამება SDG 1 და SDG 2-ის ამოცანებს, მიუხედავად განსხვავებული საბოლოო ინდიკატორებისა. მაგალითად, სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, ოთხი და მეტ შვილიან ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების განწესვა, რომელთა შესრულების ძირითადი ინდიკატორია ბენეფიციართა რაოდენობა. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია SDG 1-ის მესამე ამოცანის ადაპტირება რეგიონულ დონეზე,

რომელიც ითვალისწინებს საარსებო შემწეობის მიმღები პირების, სოციალური პაკეტის (გარდა საარსებო შემწეობისა) მიმღები პირების, და ასაკობრივი პენსიის (გარდა საარსებო შემწეობისა) მიმღები პირების დახმარებას.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ დოკუმენტს მუნიციპალურ დონეზე. შესწავლილ 4 მუნიციპალიტეტში, აღნიშნული გეგმების ძირითადი თემატიკა საერთო საკითხებს აერთიანებს, კერძოდ, გარე პოზიციონირება და მარკეტინგი, მიწა და ინფრასტრუქტურა, უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება/წვდომა ფინანსებზე. განსხვავებულია ქედის მუნიციპალიტეტის მიდგომა, რომელმაც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შედეგად მოგვანოდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 10 წლიანი სტრატეგიული გეგმა (2012-2020), რომელიც ასევე მოიცავს განათლებას, კულტურის, ჯანდაცვის და კომუნიკაციის საკითხებს.

ოთხივე მუნიციპალიტეტის სტრატეგია მსგავს სტრუქტურას მიყვება და მათი თემატური მიმართულებები მოიცავს ისეთ ძირითად მიზნებს, როგორცაა მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და ტურისტული შესაძლებლობების შემდგომი განვითარება/პოპულარიზაცია, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება, სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ბიზნეს-მხარდაჭერის სერვისების შექმნით, ადგილობრივთა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება და სხვა. აღნიშნული მიზნების ფარგლებში განსახორციელებელი ქმედებების დაკავშირება შესაძლებელია ძირითადად SDG 8-ის და SDG 9-ის ამოცანებსა და ინდიკატორებთან. მაგალითად, ონის მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის თანახმად, 2020-2021 წლებში უნდა განხორციელდეს სამუშაო ადგილების მაძიებელთა ბაზის შექმნა და ახალგაზრდების, ქალების, დამწყები მეწარმეებისთვის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, რაც პირდაპირ ხელს შეუწყობს SDG 8-ის მეხუთე და მეექვსე ამოცანების როგორც შესრულებას, ასევე მონიტორინგს.

ოთხივე მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილია არაერთი აქტივობა ტურიზმის განვითარების მიმართულებით, რაც შეესაბამება SDG 8-ის მეცხრე ამოცანას: პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს მდგრადი ტურიზმის განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი კულტურისა და პროდუქტების პოპულარიზაციას. აღნიშნული ამოცანის ორივე ინდიკატორი, ტურიზმიდან გამომდინარეული მშპ-ს წილი მთლიან მშპ-ში, და ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულ პირთა რაოდენობა მორგებულია ეროვნულ მასშტაბებზე, თუმცა მარტივად შესაძლებელია მათი ადგილობრივ დონეზე ადაპტირება.

მუნიციპალიტეტებს ასევე გაწერილი აქვთ ადგილობრივი მოსახლეობისთვის და მეწარმე-

ებისთვის შესაძლებლობების გაძლიერებაზე მიმართული აქტივობები, როგორცაა სასწავლო კურსების ორგანიზება, საერთაშორისო შემეცნებითი ტურების ჩატარება, და სხვა. აღნიშნული ირიბად მიესადაგება SDG 8-ის პირველ და მეორე ამოცანებს, ამავე ამოცანებს შეიძლება მიესადაგოს ინვესტიციების მოზიდვისკენ მიმართული აქტივობები და მიზნები.

ამავდროულად, ამ ოთხი სამიზნე მუნიციპალიტეტის გარდა, დამატებით 14 საკვლევ მუნიციპალიტეტში⁵⁴ გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილებზე პასუხებიდან ირკვევა, რომ არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არის შექმნილი მდგრადი განვითარების საბჭო მერიის ან საკრებულოს ფარგლებში, ასევე მათი უმრავლესობა იუწყება, რომ არ მიუღიათ ოფიციალური წერილი მდგრადი განვითარების ოფიციალური საბჭოდან და შესაბამისად, მონაწილეობას არ იღებენ მის მუშაობაში. ასევე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტები ამ ეტაპზე არ იყენებენ მდგრადი განვითარების მიზნებს საშუალო ვადიანი გეგმების და ბიუჯეტის შემუშავების პროცესში, და ადგილობრივ დონეზე არ არის დანერგილი სამოქმედო გეგმების და სტრატეგიების შესრულების მონიტორინგის და შეფასების სისტემები.

⁵⁴ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი, თელავის მუნიციპალიტეტი, მცხეთის მუნიციპალიტეტი, ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ცაგერის მუნიციპალიტეტი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, გორის მუნიციპალიტეტი, ქედის მუნიციპალიტეტი, სენაკის მუნიციპალიტეტი, ონის მუნიციპალიტეტი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. შერჩევის მეთოდოლოგია იხილეთ დანართი II-ში.



დანართი II.

საკვლევი მუნიციპალიტეტების შესარჩევად გამოყენებული მეთოდოლოგია

- I. ანალიზის მაქსიმალური ეფექტიანობისთვის, შერჩევის პირველ ეტაპზე პრიორიტეტი მიენიჭა მოსახლეობის რაოდენობით გამორჩეულ მუნიციპალიტეტებს, საქსტატის დემოგრაფიულ მონაცემებზე⁵⁵ დაყრდნობით, ყოველი რეგიონად შეირჩა 2 მუნიციპალიტეტი.
- II. შერჩეული ორი მუნიციპალიტეტიდან შემდგომი გადარჩევა მოხდა ადგილობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების არსებობის მიხედვით, LSG ინდექსზე⁵⁶ და IDFI-ის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. ყურადღება ასევე ექცეოდა ეროვნულ სტრატეგებში, ღია მმართველობის პარტნიორობასა (OGP) და სხვა საერთაშორისო ინიციატივებში ჩართულობას.
- III. დაბოლოს, ყოველისმომცველი და ინკლუზიური ანალიზის შემუშავების მიზნით, პრიორიტეტი მიენიჭა ერთ მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტს (რომელიც ორგანულად მოხვდა შერჩეულთა ნუსხაში წინარე კრიტერიუმების საფუძველზე) და ერთ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტს (მუნიციპალიტეტი, სადაც ეროვნული ეთნიკური უმცირესობა ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს).

მუნიციპალიტეტი	მოსახლეობა	სჯავაშვილის ასსპოპა (მათ შორის მსოფლო კრიოკივავის ღოკუშევის ასსპოპა)	სხვადასხვა ინიციატივებში ჩართულობა (მე. სხვა სახელმწიფო სჯავაშვილი და გეგმები)	უშიკასოპაი, გოგოკ ადგილობრივი მოსახლეობის უშიკასოპა	შეჩეული
აჭარის აკ					
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი	172.063	✓	✓		✓
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	71.843	✓			
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	52.737	✓			

⁵⁵ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

⁵⁶ <http://www.lsgindex.org/>

მუნიციპალიტეტი	მოსახლეობა	სტრატეგიის აღსრულება (მათ შორის მხარულ პრიორიტეტების ღირებულების აღსრულება)	სხვადასხვა ინიციატივებში ჩართულობა (მეწ. სხვა სახელმწიფო სტრატეგიები და გეგმები)	უშიგესოები, როგორც აღმდგომი მოსახლეობის უზრუნველყოფა	შედეგი
გურია					
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	29.893	✓	✓		
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	59.357	✓	✓		✓
იმეათი					
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი	134.378	✓	✓		✓
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	55.142				
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	46.803	✓			
კახეთი					
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	51.814				
თელავის მუნიციპალიტეტი	55.113	✓	✓		✓
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	52.335		✓		
მცხეთა-მთიანეთი					
დუშეთის მუნიციპალიტეტი	26.328				
მცხეთის მუნიციპალიტეტი	53.006				✓
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი					
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	10.405	✓	✓		
ცაგერის მუნიციპალიტეტი	8.505	✓	✓		✓
სამეგრელო-ზემო სვანეთი					
ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი	41.536	✓			
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	99.542	✓	✓		✓

მუნიციპალიტეტი	მოსახლეობა	სტრატეგიის აკრძობა (მათ შორის მსოფლო პროგრამების ლოკუმენტის აკრძობა)	სხვადასხვა ინიციატივები ჩართულობა იმპ. სხვა სახელმწიფო სტრატეგიები და გეგმები	უპირატესობა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფა	შედეგი
სამხმ-ჯავახეთი					
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	41.026	✓			
ახალციხის მუნიციპალიტეტი	39.463	✓	✓		✓
ქვემო ქართლი					
ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი	130.072	✓	✓		
მარნეულის მუნიციპალიტეტი	107.824	✓		✓	✓
შიდა ქართლი					
გორის მუნიციპალიტეტი	120.569	✓	✓		✓
ხაშურის მუნიციპალიტეტი	51.028	✓			
თბილისის მუნიციპალიტეტი		✓			✓
ოთხი დამავალი მუნიციპალიტეტი					
ქედა					✓
სენაკი					✓
ონი					✓
საგარეუო					✓



დანართი III.

მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების დონის შეფასება

კითხვარი

- ❓ თქვენი მუნიციპალიტეტი
- ❓ რომელ სექტორს წარმოადგენთ
- ❓ რესპოდენტის სქესი:
- ❓ რესპოდენტის ასაკი:
- ❓ რა არის მდგრადი განვითარება?
- ❓ გსმენიათ თუ არა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ?
- ❓ იცით თუ არა რამდენი მდგრადი განვითარების მიზანი არსებობს?
- ❓ ჩართულია თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტი მიზნების განხორციელების პროცესში?
- ❓ თქვენი საქმიანობის ფარგლებში გქონიათ თუ არა შეხება გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანთან? თუ პასუხია კი, მაშინ გთხოვთ მიუთითოთ რომელთან:
- ❓ რომელ წელს დაამტკიცეს გაეროში მდგრადი განვითარების მიზნები?
- ❓ თქვენი აზრით, ჩართულია თუ არა საქართველო მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების გლობალურ პროცესში?
- ❓ გაქვთ თუ არა ინფორმაცია მდგრადი განვითარების ეროვნული დოკუმენტის შესახებ?
- ❓ რას ნიშნავს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაცია?
- ❓ ფუნქციონირებს თუ არა ქვეყანაში ეროვნული საბჭო მდგრადი განვითარების მიზნების კოორდინაციის კუთხით?
- ❓ თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი უწყება ახორციელებს მდგრადი განვითარების მიზნების კოორდინაციას?
- ❓ ჩართული ხართ თუ არა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ საბჭოში?

- ❓ თქვენი საქმიანობის პერიოდში, მიგიღიათ თუ არა რამე დავალება რომელიც დაკავშირებული იყო მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასთან? თუ პასუხია კი, იქნებ მოკლედ აღწეროთ აღნიშნული დავალების შინაარსი.
- ❓ არის თუ არა სიღარიბის დაძლევა და შიმშილის აღმოფხვრა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიზნები?
- ❓ საჭიროა თუ არა სტატისტიკური ინფორმაცია იმისთვის, რომ გაიზომოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მაჩვენებელი საქართველოს მიერ?
- ❓ თქვენი აზრით, რა სარგებელი შეიძლება ქონდეს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს ჩვენი ქვეყნისთვის?
- ❓ თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა ჩართული გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში მუნიციპალიტეტი? გთხოვთ, მოკლედ დაასაბუთეთ თქვენი პასუხი:
- ❓ ხომ არ იცით, არის თუ არა გარემოს დაცვა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაწილი?
- ❓ ხომ არ იცით, ეკონომიკური განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა მდგრადი განვითარების რიგით რომელი მიზანია?
- ❓ როგორ ფიქრობთ, აწარმოებს თუ არა საქართველოს მთავრობა მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგს, და ანგარიშვალდებულია თუ არა გაეროს წინაშე?
- ❓ როგორ ფიქრობთ, გაგიმარტივებდათ თუ არა საქმიანობას, ისეთი მიზნების და წინასწარ განსაზღვრული ამოცანების არსებობა, რასაც მომდევნო წლების განმავლობაში უნდა მიაღწიოთ?
- ❓ როგორ ფიქრობთ, დაგეხმარებოდათ თუ არა საქმიანობაში თქვენს კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა?
- ❓ თქვენი აზრით, ვინ უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების დაფინანსებას?
- ❓ რომელია მართებული:
 - ა) მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტს დამატებითი ფინანსური რესურსები ესაჭიროება;
 - ბ) მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტს შეუძლია არსებული საბიუჯეტო დაფინანსება გამოიყენოს.
 - გ) ზედა ორივე პასუხი მართებულია

- ❓ თქვენი აზრით, სავალდებულოა თუ არა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება საქართველოსთვის?
- ❓ რომელ წელს უნდა დასრულდეს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება?
- ❓ გაგივლიათ თუ არა ტრენინგი მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით?
- ❓ გექნებოდათ თუ არა სურვილი მიიღოთ მონაწილეობა მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ტრენინგში?
- ❓ გაქვთ თუ არა სურვილი მიიღოთ მეტი ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ?
- ❓ თქვენი აზრით, გამოგადგებათ თუ არა ასეთი ინფორმაცია სამომავლოდ?
- ❓ გექნებათ თუ არა სურვილი ითანამშრომლოთ მდგრადი განვითარების მიზნების საკითხებთან დაკავშირებით ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან



IDFI



ტ. შვეჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო



+ 995 32 292 15 14



info@idfi.ge



www.idfi.ge